



19

ქრისტა კავშირის კომიტეტის ორგანო



დილის
სახელმწიფო სკოლა
1920.



ଶୋବନାରକ୍ଷଣ


୧୩୫୩

1. ମତଲିଆନି ସାହରନବୀ ଉପର୍ଯ୍ୟଳ୍ପଦା	3
2. ସାତବୀଦୀ ମାତ୍ରାଲା	4
3. ବାର—ଏହୁ—ମନରୀଗ ସାହିତ୍ୟରୀ ଗାର୍ହଶେଷମ	6
4. ନନ୍ଦ. ପ. କାକାଦାଶ୍ଵେ—ବର୍ଣ୍ଣନାପ୍ରେସିଓନାଲ୍ୟୁରୀ ଲିଟାଗଲା-ଗାନାତଲ୍ପଦା	10
5. ଏକିମି ନ. ଲାଲମହିନ୍ଦ୍ରନୀ—ଜାରୀଦା ଓ ପାଇଁ ଗାନ୍ଧାରିନାଲ୍ପଦା	16
6. ବାରି—ଗରୀବିଳି ମୁଖ୍ୟାନବୀ	23
7. ଜାରୀଦା ଉପର୍ଯ୍ୟଳ୍ପଦାତା ଉପର୍ଯ୍ୟଳ୍ପଦାନି	27
8. ନ. ନମ୍ବର—ଶ୍ଵରିଲା—ସାହରନବୀ ମନ୍ଦିରାଭିନନ୍ଦା	28
9. ଗା. ବା—କ୍ଷେତ୍ରପାତ୍ର—ବାରାରା ପିତ୍ତୁରିଲ୍ପଦା	31
10. ଗାନ୍ଧାରି—ଜ୍ଞାନନନ୍ଦୀନ୍ଦ୍ରନୀ କ୍ରିତିନିବୀ ଗାର୍ହଶେଷମ	36
11. ଏକିମି ଗା. ମାତାମତୀଗାନ୍ଧାରି—ଲାହୁଗପ୍ରଦା ପ୍ରେସିବି ମନ୍ଦିରା- ବାରାରାନନ୍ଦିନୀ ଶେଷାନ୍ତର୍ଦେଶ	42
12. ଜାରିନିକା	44
13. କ୍ରିତିନିକା ଓ ମିଥଲାନିଗାନ୍ଧାରିତୀର୍ଥିରୀ	64

No 9

ମୁଦ୍ରଣକାଳୀନୀ—15

1920 6.



5-668

ორკვეირეული საერთო ქურნალი

ერობათა კავშირის კომიტეტის ორგანო



ଓଡ଼ିଆ
ସାହିତ୍ୟର ପରିଚୟ ଓ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ
1920.



15 ოქტომბერი, 1920 წ.

მთლიანი

საეროვნო დებულება.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას რომ, ჩვენი რესპუბლიკის მთელი ენერგიის ამუშავება. ამ ფაქტი თითქმის გადასულია ერობის მოღვაწეობაში. მთელი რიგი კითხვებისა ამ ფაქტი სწყდება ერობებში. ერობის მოქმედებასა და უნარზეა დამოკიდებული აღორძინება ყველა იმ დარგთა, რაც ჩვენი ცხოვრების ყოველ დღიურ კითხვას შეადგენს ამ ფაქტი; და უნდა ითქვას ჩვენი ერობის სასახელოთ, რომ მისი მოღვაწენი არ იშურებენ არც ძალას და არც ენერგიას რომ საჭმეს სათანადოთ გაუძლვენ.

ერობის წინაშე დიდი მოთხოვნილებაა წაყენებული და თუ ის ნახევრათ მაინც ასრულებს თავის დანიშნულებას, ეს უკვე დიდი ღვაწლია. რას არ მოსთხოვენ ახლა ერობას? სკოლა უნდა მოაწყოს ერობამ, გზები უნდა გააკეთოს ერობამ, აგრძარული რეფორმა უნდა გაატაროს ერობამ, აღმინისტრატიული აპარატი უნდა მოაწყოს ერობამ, სამედიკო-სასანიტარო მდგომარეობა უნდა მოაგვაროს ერობამ და სხვა ათასი რამ. უმთავრესი, რაც ეხლა კხოვჩების პირობების მიერ არის გამოწვეული და რის მოგვარებასაც მოსთხოვენ ერობებს, ეს არის სასუნსათო საკითხის მოგვარება. ეს საკითხი ყველაზე რთული და ძნელია იმ პირობებში, როგორმიც ჩვენ ვიმყოფებით ახლა.

ყოველივე ამისთვის საჭიროა ერობის მოქმედება ჩასმული იყვეს ისეთ კალაპოტში, ისეთ ფარგლებში, რომ მან იცოდეს თვისი უფლება-მოფალეობის პირობები. ჯერ კი ეს შეუსრულებელია, არ არის შემუშავებული ერობის დებულებანი. ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ მიღებული დებულებანი რუსეთის ერობისა, ჩვენთვის გამოუსადეგარია და ჩვენი ერობები არც სარგებლობენ ამ დებულებებით. განსაკუთრებით, რაც ხელის შემშლელია მოქმედებისთვის, ეს არის არსებული თემების უფლება-მოვალეობის განუსაზღვრელობა.

ერობათა კავშირის კომიტეტმა იმ თავითვე მიაქცია ყურადღება ასეთ მდგომარეობას, და ამიტომ იყო რომ მან დაიმუშავა სათემო კანონ პროექტი, რომელიც დაიბეჭდა. ჩვენი უურნალის მეოთხე ნომერში

და რომლის შესახებაც მოთავსებული იყო წერილები ქურნალ-გაზე— თებში. ამ კანონ-პროექტის საბოლოო შესასწორებლათ და მისაღებათ, კომიტეტმა მოიწვია პლენუმის სხდომა ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

ჩვენი რესპუბლიკა აღმშენებლობის ხანაშია; ჩვენ გვაკლია მთლიანი პოლიტიკა, რის გამო ერობებს (ვგულისხმობთ სამაზრო ერობებს) უხდებათ გეზი მიმართულებისა თვით აამუშაონ და თავის თავზე მიიღონ მრავალ კითხვათა გადაწყვეტა, რაც შეიძლება მთავრობის მთლიან პოლიტიკას არ ეგუება. და რომ ერობათა ცხოვრებაში არ ვანმეორებს იგივე მოვლენა, რომ სამაზრო და სათემო ერობის უფლება-მოვალეობანი მჟიდროთ იყოს განსაზღრული,— უაღრესათ საჭიროა შემუშავებს ერთი მთლიანი საერობო დებულება, რომ დადგებულ იქნას საზღვარი სამაზრო და სათემო უფლება-მოვალეობათა.

დამუშავებულ სათემო კანონ-პროექტისთვის საჭირო იყო სამაზრო ერობის დებულების შემუშავებაც, რომ ამნაირათ ჩვენ გვქონოდა ერთი მთლიანი საერობო დებულება: ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება პლენუმის სხდომაში და ამ უამაღ იგი იმუშავებს საერთო ერობის დებულებას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მალე იქნება დამუშავებული ეს საერთო დებულებაც და მომავალი ერობათა ყრილობა საბოლოოს მიიღებს მას, რის შემდეგ იგი წარედგინება მთავრობას დახამტკიცებლათ.

ს ა თ ბ რ ბ ი მ ა ს ა ლ ა.

სათბობი მასალის კრიზისიც მწვავეთ დადგა ჩვენს წინაშე: მას უფრო გააორკეცებს კარზე მომდგარი ზამთარი.

არ იქნა „წითელ“ ადერბეიჯანთან არ მოხერხდა ეკონომიკურ ურთიერთობის დამყარება — ნავთისა და მაზუთის მოცემას აღარ აპირობენ; ადერბეიჯანის მოსკოველი დლევანდელი ხელისუფლები ყოველ მხრივ ცდილობენ გაამწვავონ ჩვენსა, ადერბეიჯანსა და საერთოდ რუსეთს შორის მდგომარეობა; ჩვენ წინადაც დარწმუნებული ვიყავით, რომ ბოლშევიკებისათვის პატიოსანი სიტყვა, პირობა არ არსებობს, რომ ისინი თუ შესძლეს ყოველთვის მზად არიან ფეხქვეშ გათელონ

ამა თუ იმ სახელმწიფოსთან დადებული საზავო ვხელშეკრულება, საერთაშორისო უფლება-მოვალეობანი.

მუხანათური თავზე დაცემით, იარაღით ხელში, რომ ვერა გააწყეს რა ჩვენს წინააღმდეგ, ეხლა ჩუმ-ეკონომიურ ბრძოლას მიმართეს; მათი მიზანია ეკონომიკური კიდევ უფრო დაგვასუსტონ; ასეთია მათი იმპერიალისტური სულის კვეთება, მაგრამ ამაოდ, ვფიქრობთ ეკონომიურ ფრონტზდეაც დამარცხდებიან, საქართველოს დემოკრატია, იმედია, ბოლშევიკების ბლოკადიდანაც გამარჯვებული გამოვა.

ბუნებრივად მდიდარ ჩვენს სახელმწიფო ტერიტორიაზე ყოველგვარი საუნჯე მოიპოვება, მაგრამ ჩვენ სამწუხაროდ ვერ შევძელით მისი გამოყენება, მიზანშეწონილი და სარგებლიანი ექსპლოატაციის ტოჭიობა; უღეს ეს სიმღიდრე დედა-მიწის წიაღში სძევს გაუნძრევლად, თითქოს გვეშინია მისი ხელის შეხებისა, ხომ უტყუარი ნიშნები აღმოჩნდა, ნავთის კახეთში, გურიაში და სხვაგანაც, მაგრამ შევეცადეთ საჭმის დაწყებას? სამწუხაროდ არა, ამ მხრივ არაფერი გაგვიკეთებია. ვიცით რომ დღეს ძნელია საერთო წარმოება, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა ისეთია, რომ უიმისოდ არსებობა გვიჭირს. ტყიბულის ქვანახშირი რეინის გზაზე დღეს ხომ მაზუთის მაგიერობას სწევს, და ქვანახშირის სათბობით მატარაბელი რომ რამოდენიმე საათით გვიან მოდის დანიშნულ აღგილს ეს მაინც და მაინც შედარებით დიდ უბედურებათ არ მიგვაჩინია. მაგრამ ქვანახშირის საჭირო რაოდენობის დამუშავებასაც რომ ვერ ვახრხებთ, საჭმის მოუწყობლობის და მტკიცე ნიადაგზე დაუყენობლობის გამო! დავანებოთ ქვანახშირს თავი, ავილოთ შეშა; რატომ უნდა იყოს ჩვენში შეშის კრიზისი, რატომ უნდა ღირდეს ის ბაზარზე საჟენი 15—20 ათასი მანეთი. განა ჯერ კიდევ რაოდენი ათი წლის განმავლობაში ჩვენი მდიდარი ტყეები ვერ დააკმაყოფაილებდენ რესპუბლიკაში შეშის საჭიროებას; პირდაპირ მიუტოვებელია ჩვენში, რომ ასეთი შეშის მამასისხლობაა; როგორ უნდა მისცეს 5—6 ათასი მანეთი ურემ შეშაში მუშამ, გინდა სახელმწიფო მოხელემ დღვანდელ დუხჭირ პირობებში?! დღეს ტყეების ექსპლოატაციის საქმე მიწათ-მოქმედების სამინისტროს ხელშია—ამ უწყებასთან არსებობს სატყეო განყოფილება, რომელიც განაგებს ტყეების საქმეს. აგრეთვე ტყეთა ექსპლოატაციის საქმეში არა თუ იმ სახით წილი უდევს მომარგენის მინისტრს. ნუთუ არ შეიძლებოდა თავის დროზე დამზადებულიყო რესპუბლიკისათვის საჭირო შეშა? შეუძლებელი არა არის ჩა,

მაგრამ ყველაფერს გულგრილად რომ ვეკიდებით და თავის დროზე არ ვდებულობთ ზომებს ის გვლუპავს, გვაჩანაგებს ეკონომიურად. რასა-კვირველია შეშის დამზადება „პოლრაჩიკებს“ რომ ჩაუგდოთ ხელში, უნდა ვგცოლნოდა რომ, რადგანაც ისინი თავის ჯიბის სიმსუქნეზე უფ-რო მეტს ფიქრობენ, ვინემ რესპუბლიკის ეკონომიურ მდგომარეობაზე. სახელმწიფო ინტერესი მოითხოვს, რომ სახელმწიფოს ორგანოებმა თვილ-თონ საკუთარი ინიციატივით შესძლონ სახელმწიფო ქონების ზესიერად გამოყენება; მისი კერძო მწარმოებლის ხელში ჩაგდება ხეირს ვერ მისცემს, სახელმწიფოს შეშის დამზადებას უნდოდა დიდი მანქანები და სხვა საჭირო ტეხნიკური მოწყობილებანი. საჭირო იყო მხოლოდ მუშა-ხელი, ცული და ნაჯახი.

დროა მეტი უნარი და საქმიანობა გამოვიჩინოთ ჩვენა ეკონომი-კური სიმძიმეს შესამსუბუქებლად; ამისთვის უნდა ზრუნავდეს სახელ-მწიფოს ყველა აპარატები, ყველა მოქმედი სახელმწიფო და საზოგა-დოებრივი ორგანიზაციები, თორემ რაც დრო მიღის მით უფრო მძიმ-დება და აუტანელი ხდება ატმოსფერა ეკონომიურ მდგომარეობის გარშემო.

საქართველოს დემოკრატიის ძლიერება ნების ყოფამ, მისმა განწი-რულმა სულის კვეთებამ გადაარჩინა რესპუბლიკა პოლიტიკურად, მაგ-რამ პოლიტიკური გამარჯვება საქმარისი არ არის რესპუბლიკის კეთილ-დღეობისა და მთლიანობის დასაცავად; საჭიროა ეკონომიური სიმაგ-რეც, თორემ შესაძლებელია მწარე სინამდვილის დილემა აღიმართოს ჩვენს წინაშე.

ერთხელ კიდევ მოუწოდებთ რესპუბლიკის ყველა ცოცხალ ძა-ლებს: ერობებისა და ქალაქის თვითმართველობებს, სხვა, და სხვა უწყებებს, და ყველა საზოგადო ორგანიზაციებს სოლიდარულად, ხელი-ხელ ჩაკიდებული, მეტის ენერგიით და სიჩქარით ებრძოლონ მოსა-ლოდნელ ეკონომიურ უბედურებას.

მორიგ საკითხთა გარშემო.

საგზაო ნატურალი ბეგარა.

ერთი უცნაური ჩვეულება თითქოს განმტკიცდა და საბოლოოდ დაწევდ-დრედა ჩვენში. ვინ არ იცის, რომ დამფუძნებელი კრება, როგორც უმაღლესი-

საკანონმდებლო ორგანო იხსლავს და სწყვეტს ყოველგვარ დიდ მნიშვნელოვან და რესპუბლიკისათვის საარსებო საკითხებს.

მაგრამ ჩვენში სწორეთ ისეთმა ჩვეულებამ მოიკიდა ფეხი, რომელიც ვერ გამართლდება ვერავითარი მოვლენებით. მრავალს ჰქონია, რომ რომელიმე კანონისთვის სავსებით საკმარისია მისი დამფუძნებელ კრებაში განხილვა და მიღება. პრესაში-ძლიერ იშვიათად თუ ნახავთ წერილებს ამ კანონთა შესახებ. მიიღო დამფუძნებელმა კრებამ დეკრეტი-და გათავდა. პრესა-კი სდუმს. თუ ლშერთმა ქნა და რომელიმე დეკრეტისა ან კანონის შესახებ მოხდა დამფუძნებელ კრების ფრაქციათა შორის შეტაკება, მაშინ უეჭველია ეს სჯა-ბაასი გადმოდის პრესაშიც, რაღაც ყოველი ფრაქცია ესწრაფვის, რაც შეიძლება საჩქაროთ გადაუშალოს მკითხველებს თვისი თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხის შესახებ და მით თავის პოზიციაც გაამართლოს.

ხოლო თუ ასეთ შეჯახებას ადგილი არა აქვს, მაშინ კანონისა ან დეკრეტის მიღება ისე ჩუმადა ხდება და ფართე საზოგადოებისათვის ის იმდენათ უცნობია, რომ დიდი ხნის განმავლობაში ბევრმა არც კი იცის ამა თუ იმ კანონის მიღების შესახებ.

შეიძლება გვითხრან დამფუძნებელ კრების სხდომების ანგარიშები ხსმი იბეჭდება, როგორც ცალკე წიგნებად, ისე პრესაშიდაცო. მაგრამ ამაზე უნდა მოვახსენოთ შემდეგი: ჯერ-ერთი სტენოგრაფიული ოქმების ანგარიში ვერ არის, ყველასათვის მისაწდომი და მით უფრო მასისათვის-ფართე საზოგადოებისათვის და მეორეც—პრესაც, თუ გამწვავებული კამათი არ არის რომელიმე საკითხის შესახებ—სხდომის ანგარიშს ბეჭდავს ხოლმე შემდეგი სახით: „ესა და ეს მოახსენებს კრებას ამა და ამ კანონს ან და დეკრეტს“ და მეტი არაფრი. არ არის მოყვანილი არც შინაარსი კანონისა და არც მისი დებულებები და ამ რიგათ იბეჭდება ანგარიშები ჩვენ უურნალ-გაზეთებში. მრავალი საყურადღებო და მნიშვნელოვანი დეკრეტი თუ კანონი ამიტომ სრულებით უცნობი ხდება ფართე საზოგადოებისათვის.

ეჭვს გარეშე ამ გარემოებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ჩვენთა პრესამ ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს და მიიღოს სათანადო ზომები ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

სავსებით ამ გვარივე ბეჭდი ეწვია იმ დიდ და ფრიად მნიშვნელოვან დეკრეტს, რომელსაც საგზაო ნატურალური ბეგარა ეწადება. ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ დეკრეტს იმდენათ დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მასზე შეჩერება, მისი განმარტება ფართე საზოგადოებისათვის პარლაპირ აუცილებელი უნდა ყოფილიყო. სხვა რომ არა იყოს რა ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით ის საშინელება, რომელიც ამ დარგში არსებობს საბჭოთა რუსეთში. გაფუჭებულია გზები, ხიდები დანგრეული, ბოგიობი აშლილი, რკინის გზა საშინელ მდგომარეობაშია და ყოველივე ეს ამწვავებს იმ, ისედაც დიდ ეკონომიურ კრიზისს, რომელიც გამეფუბულია საბჭოთა რუსეთში. საბჭოთა მთავრობამ თითქოს მიიღო ექსტრა-ორგანიზაციური ზომები ამ უბედურების შესანელებლად. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც ჩვენ გაფაციურებით თვალ-ყურს ვადევნე-

ბდით რუსეთის მშრომელი არმიის (трудовая армия) მუშაობის ცნობებს. რუსეთი ამგვარ საშინელებას აშეარათა გრძნობს.

ამავე დროს ჩვენში ტარდება ისეთი კარდინალური სახის დეკრეტი, როგორიც საგზაო ნატურალი ბეგარაა და ჩვენი პრესა კი სდუმს. ცხადია ჩვენი გზების მდგომარეობა არც იმდენათ სანატრელ პირობებშია, რომ მის გაუმჯობესებაზე ფიქრი და ზრუნვა ზედ-მეტ ბარგათ მიგვაჩნდეს. პირიქით გზების მდგომარეობა ჩვენში სწორეთ, რომ ვერ არის დაყენებული სასურველ ღონებები და ეს გარემოება იწვევს დამფუძნებელ კრების მიერ ისეთი ნაბიჯის გადაღმას როგორიც ნატურალი ბეგრის შემოლება არის.

ჩვენთვის გზატკეცილების საკითხს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. მას სჭირდება სერიოზული ყურადღების მიქცევა და გარკვევა.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა დიდი ხანია, რაც ეს შეიგნეს და საგზაო ნატურალი ბეგარა შემოიღეს. და ამან ცხადია ფრიად დიდი სარგებლობა მოუტანა მათ. ამიტომ არის სწორედ, რომ ბევრ ქვეყნებში გზებისა და შარაგზების სიმრავლე ჩვენსას აღემატება 25-50 ჯერ.

ძალიან კარგი ჰქნა მთავრობამ, რომ ამ საკითხს ასე საჩქაროთ მიაქცია ყურადღება და მის გასაუმჯობესებლათ ასეთი აქტიური ნაბიჯი გადადგა. მით უმეტეს დღევანდელ პირობებში, როდესაც ოვითეულ სახელმწიფოს განსაკუთრებით კი ჩვენ, გვჭირდება ჩვენივე თავის გამოკვება საკუთარივე სურსათით. ყველას კარგათ მოეხსენება, რომ საზოვარ-გარეთი ჩვენ იშვიათად გვაწვდის პირველ საჭიროების სანოვაგესა და ამიტომაც გვჭირდება შიგნითვე შევქმნათ ისეთი პირობები, რომ ხალხის დამშევა არ მოხდეს. ამიტომ იყო, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ განსაკუთრებული ზომები მიიღო, რათა არც ერთი ადგილი ჩვენში დაუთესელი არ დარჩენილიყო.

მაგრამ თუ დაოცხილ იქმნა ყველგან ასეთი ადგილები, სამაგიეროთ მოსავალი ყველგან ერთი და იგივე არ მოვიდა. ასეთ შემთხვევაში ერთმა მაზრამ, მოსავლიანმა, მეორე უნდა გამოკვებოს, მაგრამ როდისა და რა დროს მიაწიდებს მაზრა-მაზრას სურსათ-სანოვაგეს თუ გზების საოცარი ნაკლებობა და სიმცირე იქნება. ან რამდენათ დაჯდება იგი, როდესაც მიმოსვლა ან შორეული გზებითა ან და საოცრათ წახდენილ გზებზე იწარმოებს? მეორეს მხრით ის ბუნებრივი სიმდიდრე, რომელიც ჩვენში არსებობს რამდენგან არის მივიწყებული და მიფუჩებული, სწორედ იმის გამო, რომ მიმოსვლა და ურთიერთობის დაჭრა ასეთ ადგილებთან პირდაპირ წარმოუდგენელი ხდება უგზოობის წყალობით.

ყოველი ზომა უნდა მივიღოთ დამფ. კრების დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლათ. უეჭველია დღევანდელ პირობებში უმთავრესი ყურადღება გზატკეცილებსა და შორა გზებს უნდა მივაკითოთ. რკინის გზების ქსელის გადიდება უეჭველია დიდ მნშვნელოვან მოვლენათ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მის მოწესრიგება სხვადასხვა მბიექტიურ პირობათ გამო დღეს-დღეობით შეუძლებელია ჯერ ერთი. იმიტომ, რომ რესპუბლიკას არ მოეპოვება ისეთი მასალა, რომელიც უპირველეს საჭიროებას წარმოადგენს ამ საქმისათვის. მისი შემოტანა

საზღვარ-გარეთიდან ჯერ ერთი შეზღუდულია და მასთან შესაძლებელიც რომ იყვეს იმდენი თანხა დაჯდება, რომელსაც მთავრობა ამ უამად ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაიღებს.

და სწორეთ დამტუმნებელ კრების დეკრეტიც ამ გარემოებას აქცევს უმთავრეს ყურადღებას. იქ განსაკუთრებით შარა გზებსა და გზატკეცილებზეა ლაპარაკი. რაც ხალხისათვის უნდა გაკეთდეს თვით ხალხმა უნდა გააკეთოს. ეს გზები ხომ ისევ ხალხის უპირვილეს საქმეს ემსახურება და თუ ასეა მაშინ თვით ხალხმა უნდა მიიღოს უშუალო მონაწილეობა ამ დიად საქმეში.

ეს ბეგარა საყოველთაო და სავალდებულოა. ყოველი მოქალაქე 18—50 წლისა ვალდებულია გამოვიდეს თავის ხარ-კამეჩით და იმუშაოს გზების საკეთებლად არა უმეტეს 7 დღისა. აბა რომელი მოქალაქე იტყვის იმას, რომ ეს მისთვის დიდი და აუტანელი სამუშაოა, მაშინ, როდესაც 7 დღის მუშაობით ასეთი დიდი და მასთან სახემწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე კეთდება?

და შემდეგ განა მარტო სოფლის მცხოვრები არის ჩაბმული ამ მუშაობაში. ამ მუშაობაში ყოველი მოქალაქე ჩაბმული როგორც სოფლის ისე ქალაქის. ქალაქის მცხოვრებნი (თბილისი, ქუთაისი, ფოთი, სუხუმი, ბათომი, ბორჯომი და გაგრა) ამავე საქმისათვის პირადი მუშაობის მაგივრათ იხდიან საგზაო გადასახადას, $\frac{1}{4}$. დანარჩენ ქალაქთა მცხოვრებნი კი ნატურალურად იხდიან ამ ბეგარის ან და ყოველ კერძო შემთხვევაში, თანახმად ქალაქის თვითმართველობის დადგენილებისა, იხდიან იმ ბეგრის საფასურს, რომელიც ისევ ამ გზების მოწესრიგების საქმეს უნდა მოხმარდეს. დამნაშავენი ისჯებიან დაპატიმრებით სამ თვემდე და მასთან იხდიან საგზაო ბეგრის ორწილ საფასურს.

ამრიგათ ეს კანონი ვრცელდება ყვილაზე. რესპუბლიკის ყოველმა მოქალაქემ უნდა მოიხადოს თავისი გალი ამ საქმეში.

მთავარი ხელმძღვანელობა ევალება განსაკუთრებულ კომიტეტს, ხოლო მის შესრულება, მასი ცხოვრებაში გატარება კი მოვალეობა გახლავთ ერობათა და განსაკუთრებით სათემო თვითმართველობათა. ჩვენ გვწამს, რომ თემის თვითმართველობანი, რომელიც ყველაზე უფრო ახლო სდგანან ხალხთან და ამიტომ ამ საქმესთანაც, დიდ ენერგიულ ზომებს მიიღებენ ამ დიდი საქმის განსახორციელებლად. რაც შეიძლება მეტი სიმტკიცე და მუყაითობა მართებსთ მათ ამ საქმეში, რათა ყველა მოქალაქემ უეჭველათ შეასრულოს თავისი ვალი რესპუბლიკის წინაშე. მათ უნდა აუხსნან და განუმარტონ ხალხს ამ ბეგარის მნიშვნელობა და ფასი და მაშინ, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, ხალხი დიდის ენერგიით მოქიდებს ამ საქმეს ხელს, რადგან ჩვენ ვუიქრობთ რომ საქართველოს მშრომელი ხალხი ამ საკითხის დიდ მნიშვნელობას აღვილათ შეიგნებს.

და თუ ასეთის ენერგიით დაიწყო ამ საქმის მოწესრიგება გვწამს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ საქართველო ამ მხრივ აღარ ჩამოუვარდება დასავ. ევროპის ქვეყნებს და მით თავის და თავად აიცდენს იმ არასასურველ შედეგებს, რომელიც უგზოობას თანა ახლავს.

ენერგია და მუყაითობა საქმეს პრწყინვალედ დააგვირგვინებს.

პროფესიონალური სწავლა-განათლება^{*}

დღეს ყველასათვის ნათელია, რომ დაბალი სასწავლებელი იქ სახით, როგორითაც აძლენხანს არსებობდა, თავის მიზანს ვერ აღწევდა და მოსწავლე, თუ იგი აქვედან პირდაპირ ცხოვრებაში გამოიყოდა, სულ მოკლე დროში ივიწყებდა სკოლაში შეძენილ ცოდნას. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო სიშორე სასწავლო მასალისა რომ აფეთქებიდან; ამდენხანს გამეფებულ სისტემისა და სახელმძღვანელოების წყალობით ბავშვს თავიდანვე ისეთ მასალას ვაწვდიდით, რომელიც მისთვის უცნობი და გაუგებარი იყო. რასაკვირველია, ასეთი სწავლება დიდ ნაკოფს ვერ გამოიღებდა; და აუცილებლად საჭიროა ეს შეცდომა ჩვენს სკოლაში გამოსწორებული და სასწავლო მასალა ცხოვრებასთან დაკავშირებული იქნეს. ეს ერთი.

მეორე, სწავლება, ისეთი უნდა იყოს, რომელიც შეგუებული იქნება ბავშვის სულიერ ცხოვრებასთან და რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის აქტივობას და მისი შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას. ასეთ სკოლებად ეხლანდელ დროში მიჩნეულია შრომის სკოლები, რომელნიც ბავშვის ყოველგვარ ნიჭის ჰარმონიულად განვითარებას იწვევს, თეორიისა და პრაქტიკის, ცხოვრებისა და შეცნიერების სინტეზს, ახდენს-რასაკვირველია, საჭიროა სწავლა განათლების საქმეში ჩვენც ამ გზას დავადგეთ.

ამნაირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ მასალაზე და შრომის პრინციპები აღზრდილი მოწაფე გაათავებს დაბალ სკოლას, და უნდა, ითქვას, რომ ამ ნიადაგზე მომზადებული ადამიანი საუცხოო მასალას მოგვცემს პროფესიონალურ სკოლისათვის; და ვინც საშუალო სასწავლებელში სწავლას ვერ განაგრძობს და პირდაპირ ცხოვრებაში გამოსვლას დაპირებს, თავის ნიჭის მიღრეკილების და ინტერესების მიხედვით უნდა შეიძინოს ისეთი პრაქტიკული ცოდნა, რომელიც მას ცხოვ-

*) ეს მოხსენება წაკითხული იყო ერობის ტეხნიკურ ქალთა ყრილობაზე ა. წ. თებერვალში.

რებაში გამოადგება. ასეთი დაბალი, პირველი საფეხურის სპეციალისტების შომზადება საჭიროა და აუცილებელი, როგორც სახელმწიფოს ინტერესებისათვის, რომელსაც ასეთი სპეციალისტები ესაჭიროება, არა ნაკლებ ტეხნიკურებისა და ინჟინერებისა, ისე საზოგადოებისთვისაც, რომელსაც მხოლოდ შრომას / შეჩვეული, მისი მოყვარული და ლირებულებათა შემქმნელი წევრები ეყოლება.

ამნაირად, დაბალი სასწავლებლის კურსის დასრულების შემდეგ მოწაფე, ცოტად თუ ბევრად საფუძვლიანი ზოგადი განათლების მიღების შემდეგ, უნდა შეუდგეს პროფესიონალური ცოდნის შეთვისებას, თუ ის საშუალო სკოლაში სწავლას ვერ განაგრძობს. მაშისადამე, ეგრედ წოდებული დამატებითი სკოლები, ჩემის ფიქრით, პროფესიონალური ხასიათის უნდა იქმნენ, თუმცალა სასურველია, რომ ამ სასწავლებლებში ზოგად განათლებასაც ადგილი პქონდეს დათმობილი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფესიონალური სწავლა არის ახალი დარგი განათლებისა და წარმოშობილია მრეწველობის განვითარებით; მრეწველობის განვითარებამ შექმნა ბევრი ისეთი დარგები, რაც წარმოებანი, რომელიც თავის სირთულის გამო მოითხოვნ არა მარტო ხელმძღვანელთაგან, არამედ უბრალო მუშებიდანაც დიდ ცოდნას; გამოცდალებას და უნარს.

ეხლა უკვე სავსებით დამტკიცებულად მიაჩნია ის დებულება, რომ გონიერების დაწინაურებული მუშა უფრო ადვილად სწავლობს. ამა თუ იმ ხელობას, თხოულობს უფრო ნაკლებ ზედამხედველობას და ყურადღებას, ნაკლებ მასალას ხარჯავს მუშაობის დროს, უფრო ნაკლებად აფუჭებს იარაღებს და მანქანებს, უფრო იშვიათად ხდება უბედურ შემთხვევების მიზეზად და უბედურების დროს უფრო ადვილად ახერხებს ხითათის თავიდან აცდენას. სწავლა-განათლება უვითარებს ადამიანს როგორც კონცერტ, ისე, ფიზიკურ უნარიანობას და მოქნილობას და ამნაირად საწარმოო ძალების საერთო განვითარებას იწვევს. რუსულ ლიტერატურაში, როდესაც პროფესიონალურ სწავლა-განათლების საჭიროებაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, საკითხს აგრე სვამდნენ: „რა დაემართებოდა რუსეთის მეურნეობას, რამდენად დაწინაურდებოდა რუსეთის ხალხი, რომ ყოველ თავთავს 2—3 მარცვალი მეტი გამოეღოო!“ შედეგი მართლაც განსაცვიდოებელი იქნებოდა; და რამდენად უზრნველყოფილი შეიქმნება ადამიანი, რამდენად დაწინაურდება სახელმწიფო, რომ თვითოვეულმა მოქალაქემ შრომის-

ნაყოფიერება თუნდაც ერთი მეხუთელჯერ ან ერთი მეათელჯერ გა-
ადიდოს!».

ეს კი შეუძლია მხოლოდ პროფესიონალურ ცოდნის გავრცელე-
ბას, რომელსაც საჭიროა მივაჭიოთ უდიდესი ყურადღება და გავავრ-
ცელოთ ის ხალხში ძალიან ფართო მასშტაბით. ის გამოიწვევს ქვეყ-
ნის საწარმოო ძალების განვითარებას, მისი ბუნებრივი ძალების მიზან-
შეწონილად გამოყენებას და, მაშასადამც, ეკონომიკურ და მასთან და-
კავშირებულ პოლიტიკურ სიმტკიცის ურყევ გარანტიას მოჰვცემს. და
თუ სპეციალური, საზოგადოდ, და პროფესიონალური სწავლა-განა-
თლება, კერძოდ, სხვა ქვეყნებში დიდი ყურადღების საგნად არის გა-
დაჭცეული, ეს მით უფრო საჭიროა ჩვენში, ვინაიდან აქ ბუნებრივი
პირობები საუცხოო შესაძლებლობას იძლევიან ქვეყნის წარმატებისა
და კუთილდღეობისათვის ერთის მხრით, და, მეორის მხრით, აქ ჯერ-
ჯერობით კიდევ გამეფებულია პირველყოფილი წესი მეურნეობისა.
გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღები ჯერაც შემოუღებელია, აღგი-
ლობრივი ნაწარმოებნი განუვითარებელი, ბუნებრივი ძალები გამოუყე-
ნებელი და უცნობია ბევრი კარგი მხარეები თანამედროვე ტექნიკისა.

ეხლა დავსვათ საკითხი: როგორი პროფესიონალური სკოლებია
ჩვენთვის საჭირო?

ყველას კარგათ მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ქვეყანა დიდ შესაძლე-
ბლობას იძლევა სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარების საქმეში
და ამიტომ უპირველესი ყურადღება სწორედ მათ უნდა მიექცეს.

სასოფლო მეურნეობაში მამა-პაპური წესების შესაცვლელად და
ცოტად თუ ბევრად გაუმჯობესებული და ინტენსიური მეურნეობის
შესაქმნელად საჭიროა მომზადებეს ამ დარგში ინსტრუქტორები და
დაბალი სპეციალისტები-აგენტები; მაგრამ სასოფლო მეურნეობა მრა-
ვალმხრივია, ბევრ დარგად, იყოფა და სპეციალისტების მომზადებაც
ამისდა მიხედვით უნდა მოხდეს. ჩვენში დიდი ნიადაგი აქვს და სახელ-
მწიფოსათვის დიდი მნიშვნელობა ექნება მეღვინეობას. ხალხში საჭირო
ცოდნის გავრცელებით და საჭირო სპეციალისტების მომზადებით სა-
უკეთესო ღვინოების და ღვინის ძვირფასი პროდუქტების დიდძალი
რაოდენობის დამზადების და მსოფლიო ბაზარზე ერთობ საპატიო ად-
გილის დაჭრის შეძლება მოგვეცემა. საუცხოო ნიადაგი შეუძლია მოი-
პოვოს აგრეთვე ჩვენში მებალეობამ, მეხილეობამ და მებოსტნეობამ; ამ
წარმოებებს შეუძლიათ მასალის როგორც ნედლად გამოშვება, ისე

გადამუშავებული პროდუქტების სახითაც, მაგალითად, კონსერვების, წნილის, „ნასტოიკების“ და სხვა. ამათთან შეიძლოდ დაკავშირებ ულია ისეთი დარგები, როგორც შეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა. ახლო ნათესაობაშია აგრეთვე მეველეობა და მესაქონლეობა, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან მათ შეუძლიათ ისეთი დიდმნიშვნელოვანი მეურნეობანი, როგორც რძე-ყველის და მატყლის აყვავების ნიაღაზე დაყენება. სასოფლო მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიჭიროს აგრეთვე მეთამბაქოობამ, სამკურნალო მცენარეთა და ბალაზების კულტურამ და სხვ. თითქმის თვითონეულ აქ აღნიშნულ დარგს ისეთი საუცხოო ნიაღაგი აქვს საქართველოში და მასთანვე თვითონეული მათგანი იმდენად დიდმნიშვნელოვანია, რომ სათანადო განვითარებით შეუძლია მთელი ქართველი ერის დაწინაურება და უზრუნველყოფა.

უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს კიდევ ტყის მეურნეობის მოგვარების საქმეს. დღეს გამეფებული ბარბაროსული წესი მეურნეობისათვის დიდხანს გაგრძელდა კიდევ, საქართველო მაღალ დიდრონ ტყეებსაც გამოეთხოვება, სწრაფ მდინარეებსაც და საუცხოოდ შეზავებულ ჰავასაც. წესიერი მეურნეობა-კი გარდა იმისა, რომ ყველა ამ საუნჯეთ შეგვანარჩუნებს, კიდევ ბევრს რასმე შეგვძენს. ხე-ტყიდან საამშენებლო მასალის გარდა შევვიძლია მივიღოთ ბევრი საჭირო და ძვირფასი საგნები: ჭურქლეულობა, ავეჯეულობა და სხვ. ნისაგან შეგვიძლია მივიღოთ აგრეთვე ქალალდი და, ეგრედ წოდებული, მშრალი გამოხდით შრავალი ქიმიური პროდუქტები, როგორც, მაგალითად: აცეტონი, გვაიაკოლი, სპირტი, ძმრის ჭანგი და სხვ. ყველა ეს წარმოებანი იმდენად რთულია, რომ საქმის რიგიან დონეზე დასაყენებლად შესაფერის სპეციალისტების მომზადებას მოითხოვენ.

ჩვენში იზრდება ინდოეთის ლერწამი (ბამბუკი), საკალათე ტირი-ფი და სხვ., რომებიც უეიძლება სკამების და სხვა ავეჯეულობის დამზადება, კალათების დაწვნა და სხვა და სხვა. არ შეიძლება ეს დარგიც უყურადღებოდ დავსტოვოთ.

ჩვენში ბამბის საკმაოდ დიდიძალი რაოდენობა მოდის, შატყლიც ბლომად გვაქვს; რიგიანად საქმის დაყენების შემდეგ პირველიც და მეორეც გაცილებით მეტი და უფრო კარგი ღირსების გვექნება. ბლომად ვიწევთ აგრეთვე აბრეშუმის ჰარკს, რომლის უმეტეს ნაწილს, სამშუხაროდ, საზღვარ-გარედ ვეზიდებით. ამ მასალებს თითქოს ვიყენებთ,

ძაფსაც ვიღებთ, შალებსაც ვქსოვთ, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც მასშტაბი წარმოებისა; ისე ღირსება ნაწარმოებისა არ შეეფერება ჩვენს პირობებს და მდგომარეობას. ამნაირად, დიდი ყურადღება უნდა მივაჭროთ მატყლის, აბრეშუმის და ბამბის გამოყენებას (აგრეთვე სელისასაც, რომელიც ჩვენში კარგად ხეირობს), ე. ი. საფეიქრო და სართველი წარმოების განვითარებას და მისთვის საჭირო სპეციალისტების მომზადებას.

ამ დარგებთან მჰიდროდ არის დაკავშირებული ნაბდის, ნაბდის ქუდის და სხვა ამგვარ წარმოებათა შექმნა-განვითარება. ხალიჩის წარმოების მოგვარებას აგრეთვე უნდა მიექცეს საკმაოდ დიდი ყურადღება.

კურტლეულობის და კერამიკულ წარმოებისათვისაც საჭიროა აუცილებელი სპეციალისტების მომზადება. კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველო, ბევრ ადგილებში მოიპოვება სხვა და სხვა ჯიშის თიხა და მიწა, რომლიდანაც ბევრგვარი ჭურტლეულობის, კრამიტის, აგურის და სხვა საგნების დამზადება შეიძლება. ჯერ-ჯერობით ეს დარიალუ ჩვენში ძალიან განუვითარებელია და მიუხედავად იმისა, რომ მაგალითად, შორაპნის მაზრაში საუცხოო ღირსების თიხა მოიპოვება. ცეცხლშეუპოვარი აგურის დასამზადებლად მეტალურგიულ წარმოებისათვის, აღავერდის ქარხანა ამ აგურს უცხო ქვეყნებიდან ეზიდებოდა. ასეთი მაგალითები შემდეგშიაც თუ განმეორდა, შეუძლებელია სახელმწიფოს მდგომარეობის განმტკიცების იმედი ვიქონიოთ.

კერამიკულ წარმოებასთან მჰიდროდ დაკავშირებულია მინეულობის წარმოება, რომლისთვისაც ნედლი მასალა ღიღძალი რაოდენობით მოიპოვება ბორჯომის და სურამის რაიონში და შორაპნის მაზრაში.

სასოფლო-მეურნეობის განვითარებისათვის საჭიროა სხვა და სხვა იარაღების დამზადება. უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება, მეტი იარაღები და ხელსაწყობი ადგილობრივ შევექმნათ; მაგრამ ყოველ შემთხვევაში უბრალო იარაღები მაინც უნდა დავამზადოთ აქვე. აგრეთვე აუცილებელია, რომ რემონტი იარაღებს ჩენენშივე გაუცემოდეს, ვინაიდან წარმოუდგენელია და შეუძლებელიც შესაკეთებლად საგანი უცხო ქვეყანაში გაიგზავნოს; ამისათვის-კი საჭიროა მოვაწყოთ სახელოსნოები, საღაც საკმაოდ მომზადაბული ხელოსნები და ოსტატები. უნდა მუშაობდნენ. ხელოსნები და ოსტატები საჭირონი არიან აგრეთვე ქარხნებში; ეგრედ წოდებული „მანტიორები“ და სხვა ასეთი ოსტატები საჭირონი არიან განათების, ტელეგრაფის და ტელეფონის საქმეში და სხვა და სხვა, და

ყოველივე ამას სახელმწიფოს ცხოვრებაში ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი ქვეყანა მდიდარია მაღნეულობით და ჩვენში სამთო-მაღნო სიმღიდრეთა უცილობელი დამუშავება უნდა დაიწყოს. ამისთვის საჭიროა ამ დარგის დაბალი სპეციალისტების, შტრეიგერების მომზადება.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად საჭიროა ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის განვითარება და გაცხოველება. ამისათვის-კი საჭიროა დაბალი კომერსანტების და ვაჭრობის მცოდნე აგენტების მომზადება.

საქართველომ პირდაპირი, უშუამავლო დამოკიდებულება უნდა დაიჭიროს უცხო სახელმწიფოებთან და, როგორც ზღვაზე მდებარე ქვეყანამ, შესაფერისი ფლოტი უნდა გაიჩინოს. ფლოტისათვის-კი საჭიროა ნავოსნობის მცოდნე პირნი, რატონსები და სხვა.

ჩემი მიზანი იყო საკითხის დასმა, მისგანი ყურადღების მიქცევა; დეტალური განხილვა-კი მისი სპეციალურ კომისიებში უნდა მოხდეს; ამნაირად გამოდის:

1. სკოლა ცხოვრების მოთხოვნილებასთან უნდა იყოს შეფარდებული და აგებული შრომის პრინციპები.

2. პროფესიონალურ სწავლა-განათლებას შეუძლია გამოიწვიოს ეკონომიკური დაწინაურება.

3. საჭიროა და აუცილებელი პროფესიონალური სწავლა-განათლებას ჩვენში მიეკცეს უდიდესი ყურადღება.

4. დამატებითი სკოლებს ჩვენში პროფესიონალური ხასიათი უნდა ექმნეს.

5. პროფესიონალურ სკოლებში ყველა დარგის საჭირო სპეციალისტები უნდა მომზადდენ.

ეჭვს გარეშე, პროფესიონალური სასწავლებლები უნდა იხსნებოდნენ აღილობრივი პირობების მიხედვით; მაგალითად, მელვინეობის სპეციალისტების მოსამზადებლად უფრო მიზანშეწონილი იქმნება სკოლის დაარსება კახეთში, მეხილეობის—ქართლში, საფეიქროსი—ხონში, კერამიკულის—მცხეთაში და შორიაპნის მაზრაში, სატყეო მეურნეობის ბორჯომში, სამთა-მაღნოს—ჭიათურაში, სანაოსნოსი—ფოთში და სხვა. და სხვა.

რაც შეეხება ხელოსნების ზა ოსტატების მოსამზადებელ სკოლების დაარსებას, ისინი უმჯობესია გაიხსნან ცენტრებში, სადაც მოწაფეთა მეტი და საფუძვლიანი პრაქტიკის მიღების შეძლება მიეცემათ.

ინგ. გ. კაკაბაძე:

ერობა და ერის გაჯანსაღება

(ერის ჯანმრთელობის ეკონომიური მნიშვნელობა).

ერის ეკონომიურად განვითარების ისტორიაში, ერთ მშენებელ დროს, ადამიანი განვითარების ისეთ საფეხურზედ სდგება, რომ მას საშუალება ეძლევა. ერთი დღის განმავლობაში ზედმეტი საქონელი შექმნას, გარდა იმისა რაც მას თავის არსებობის ძირითად მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ესაჭიროება.

ეკონომიურ მსვლელობის აღნიშნულ ღროვნდან ეროვნულ სიმდიდრის აღორძინება, გაძლიერება იწყება. მუშის ხელით შექმნილი ზედმეტი საქონელი, ცნობილ ეკონომიურ კანონების ძალით, სხვა და სხვა სოციალურ ჯერი შორის ისე უთანასწოროდ ნაწილდება, რომ ზოგიერთ მათგანს-მწარმოებლებს-განაწილება ფუფუნებას და ბეღნიერებას ანიჭებს, ზოგიერთს-კი შრომელს სიღარიბეს და დაუსრულებელ ტანჯვა-ვაებას.

რაც უფრო წინ მიღის ფაბრიკა-ქარანის და სოფლის მეურნეობის ტეხნიკის განვითარება, მუშა მით უფრო ნაკლებ შრომას ხარჯავს იმ ღირებულების შესაქმნელად, რომელიც მას თავის ცხოვრებისათვის ესაჭიროება. სამაგიეროდ დიდი ნაწილი მისი ფიზიკური ძალისა და სამუშაო დღისა ზედმეტი ღირებულების მამზადებას ხმარდება. შრომის აწაირი ხასიათი ზრდის ეროვნულ სიმდიდრეს ისე სწრაფად, რომ თვით ერის გამრავლება, ზრდა შედარებით ძალიან უკანა რჩება. ავილოთ მაგალითები განათლებული ერების ცხოვრებიდან:

ინგლისის მოსახლეობა უძრავ-მოძრავი ქონება მოდიოდა

უდირიდა:

თითო სულზედ:

1600	წ.	4,5	მილიონ	ადამიანს	22	გირ.	სტერლ.	=	209	პ.	20	კ.
1720	წ.	6,5	"	"	57	"	"	=	541	პ.	50	კ.
1800	წ.	9,0	"	"	167	"	"	=	1586	პ.	50	კ.
1885	წ.	37,0	"	"	270	"	"	=	2565	პ.	—	კ.

1790 წ. ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა 3,9 მილიონს უდრიდა და თითო სულზედ 187 დოლარი=374 მანათს ამერიკის სიმდიდრისა მოდიოდა. 1880 წ. ამერიკის ხალხი 15,1 მილიონამდე გამრავლდა, სიმდიდრე კი თითო სულზედ 870 დოლარამდე=1740 მანეთამდე გაიზარდა.

სწორედ იმ მომენტიდან, როცა მუშა ხელი ჰქმნის არა მარტო იმას, რაც მას ესაჭიროება, არამედ ზედმეტსაც აკეთებს, — აი სწორედ იმ დროიდან, მუშის სამუშაო ძალა-ფიზიკური მისი შემძლებლობა— ერთგვარ ღირებულების, სარგებლის მომტან-თანხად-ხდება.

თუ გვეცოდინება ამა თუ იმ ერის, ამა თუ იმ ქვეყნის მოგების საშუალო მახანდა რას უდრის, მაშინ ადვილია— ზედმეტად შექმნილი საქონლის რაოდენობის მიხედულობით გამოვინგარიშოთ რა თანხის, რა ღირებულების საქონელს წარმოადგენს საშუალო ხნის, ჯანმრთელი მუშის ფიზიკური ძალა-მისი დღიური შრომა. ამ მოსაზრებაზედაა და-ზ მყარებული ადამიანის სიცოცხლის, როგორც ეკონომიური ღირებუ-ზ ლების გამოანგარიშება-დაფასება. სხვა და სხვა ერის მუშათა კლასის ფ შრომის ნაყოფიერება სხვა და სხვა ნაირია. ეს დამოკიდებულია თვი-ჩ თონ. მუშათა კლასის პროფესიონალურ და კულტურულ შეგნება-სიმა-ლლეზედ, და რადგანაც ის განძი, სიმდიდრე, რასაც წარმოადგენს მუ-შის ძალა, განისაზღვრება ზედმეტად შექმნილ ღირებულებით. ცხადია რომ მუშა, მისი ძალა სხვა და სხვა ადგილას და სხვა და სხვა დროს სულ სხვა ფასის საქონელს წარმოადგენს. ამიტომა რომ ფრანგი მუ-შის ეკონომიური ღირებულება სულ სხვაა, ვიდრე ინგლისელი მუშისა. როხარდის გამოანგარიშებით პირველის ღირებულება 411 მანეთს უდ-რის-მეორისა კი 1472 მანეთს. შეიძლება ეს ციფრები სრული სინამ-დვილის ტა კეშარიტების გამომხატველნი არ იყვნენ, მაგრამ მაინც მათი მნიშვნელობა მეტად ყურადსალებია. ძალლონიო სავსე, ნაყო-ფიერად მშრომელი ადამიანი თავის ხალხის, ეროვნული სიმდიდრის-წყაროა. სამწუხაროდ სულ სხვა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო მეურ-ნოებისთვის ავადმყოფ აუამიანს. უკანასკნელი არამც თუ არა ჰქმნის სამშობლოსათვის ზედმეტ ღირებულებას, პირ იქით იმასაც ვერ აკე-თებს, რაც მის დაავადებულ ჯანს და მოკლე დღიან არსებობას ესაჭი-როება. საზოგადოება თვითეულ სნეულ წევრზედ ძალიან ბევრსა და-ჯავს, გაცილებით მეტს ვიდრე ჯანმრთელს წევრს უნდება. სახელმწი-ფოს თავის მოქალაქეთა დაავადებულ ნაწილზე გაღებული ხარჯები

რასაკვირველია სრულიად უნაყოფოდ ეხარჯება, რითაც ერს ძალიან დიდი ზარალი მოსდის. როხარდის გამოანგარიშებით საფრანგეთს ომი-ანობის დაწყებამდე ყოველ წლიურად სნეულთა წამლობა-დახმარება ზედ-ბორაზედ ხდებოდა იგი თუ საავაღმყოფოში—708,120,583, ფრან-კი=262,004,615 მან. ეხარჯებოდა. უმთავრესი ნაწილი ამ ჯამისა ავად-მყოფთა მიერ გამოტოვებულ სამუშაო დროს ხელფასს შეადგენს. მაშასადამე წინააღმდეგ ჯანსაღი მუშისა, სნეული მუშა ერის გამლა-რიბებელია, ზალხის ფინანსიურად დაქვეითების წყაროა. „თვითეული შრომის უნარ ხანში მყოფი ადამიანი სახელმწიფოს ერთგვარ თანხას-სიმღიდრეს წარმოადგენს. თანხის ძირითად ნაწილად შშრომელის „ფიზიკური პიროვნება“—მისი სამუშაო ძალა უნდა ჩაითვალოს, თანხის დანარჩენ ნაწილებად კი სწავლა განათლებით აღზრდილი მისი „გონე-ბრივი პიროვნება.“ თუ შრომის ასაკში მყოფი ადამიანი მუშაობის უნარს ჰქარგავს ან კვდება, ეროვნულ მეურნეობის თვალსაზრისით, სახელ-მწიფოსთვის იგი მხოლოდ დამაზარალებელ გამონაკლისათ უნდა ჩაი-თვალოს. ვინაიდგან არამც თუ ფული, ზრუნვა და ჯაფა, რომელიც მასზედ შშობელმა ერმა დახარჯა სრულიად ამაოდ დაიკარგა, არამედ თვით ის თანხაც, რომელსაც მუშა ხელი, წარმოადგენდა და რომელ-საც სარგებლის მოტანა უნდა დაეწყო, დასნეულება-სიკვდილის შემ-დეგ, სამუდამოთ მოისპო“. აი ასეთ აზრს გამოსთქვამს ექიმი კელერი იმ მუშაზედ, რომელიც უდროოდ შრომის უნარს ჰქარგავს. ეს დიდე-ბული აზრი ყველამ გულდასმით უნდა შეიგნოს; და მისი ძირითადი დებულების მიხედულებით თვითეულმა სახელმწიფომ, ნათლად გაირკვიოს თავის ფიქრი და ზრუნვა ხალხის ჯანმრთელობაზედ“. ჯერ კიდევ 1779 წ. მეორე გერმანელი მეცნიერი პეტრე ფრანკი აი კიდევ რას სწერდა: „გამიოიკვლიონ ის აუარებელი ზარალი, რომელიც სახელმწიფოს ამა თუ იმ გზათ ხალხის დაკარგვით ემართება; გამოიანგარიშონ ყოველწლი-ური ხალხის შენამატი და მით შეიგნონ და დარწმუნდნენ თუ რა დი-დი ღირსებულებისა ყოფილა ადამიანი“.

და მართლაც მეცნრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ნათლად სჩანს, რომ კულტურულმა სახელმწიფოებმა ისწავლეს ადამიანის სიცო-ცხლის დაფასება და შესატერ ანგარიშს უწევდნენ მის მნიშვნელობას სახე-ლმწიფოებრივი სანიტარული მუშაობით და სანიტარული კანონმდებ-ლობით. „ერის ეკონომიური და ზნეობრივი განვითარების ნიშნები მრავა-ლია. განვითარების უპირველეს და უტყუარ ნიშნად უნდა ჩაითვალოს შემ-

დეგი გარემოება. თუ ერის აზროვნებაში თან და თან ღრმავდება და მტკი-
ცდება თვითეულ პიროვნების მნიშვნელობის შესახებ ის რწმენა, რომ
მთელი საზოგადოებისთვის ყოველივე ინდივიდუმს არა მარტო ეთიკუ-
რი, არამედ ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს და აი საზოგადოების ამ
რწმენასთან შეხამებით, თუ სახელმწიფოს წარმოდგენაშიაც ყოველივე
მოქალაქის სიცოცხლის ღირებულება იზრდება და მაღლდება — აი ასე-
თი საზოგადოება უკულ განვითარებულად უნდა ჩაითვალოს", ასე აზ-
როვნებდა არა მეცნიერი, არამედ სახელმწიფო მოღვაწე გრაფი პასა-
დოვსკი, რომელმაც ომიანობის ერთ-ერთ წინა წელს გერმანიის Reichs-
gesundheitszathi-ის დამფუძნებელ კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში
მოყვანილ აზრები გაატარა, გამოსთქვამდა რა პოსადოვსკი ზემოდ-
მოყვანილ აზრებს უეჭველია გერმანიის საზოგადოება და გერმანიის
სახელმწიფო, უპირველესად ყოვლისა მხედველობაში ჰყანდნენ. და
მართლაც აი მაგალითები გერმანიის და ინგლისის ცხოვრებიდან ზემოდ
მოყვანილ აზროვნების დამამტკიცებელნი 1907 წ. გერმანიაში ავად-
მყოფობისაგან 12,138,966 მუშა აღამიანი იყო დაზღვეული, რომელ-
თაგან 4956,388 აღამიანი გახდა ავად ე. ი. თვითეულ ას სულზედ
40,8 სულმა მოიავადმყოფა. ავადმყოფთ საერთოდ 97,148,780 დღე
გაუტარებიათ, საავადმყოფოებში და მათზედ დამზღვევ კასებს ერთი
წლის განმავლობაში 299,094,766 მარკა = 149547383 მან. დაუხარ-
ჯიათ, რაც თვითეულ დაზღვეულზედ საშუალოდ 24,6 მარკას = 12 მან.
შეადგენს. მუშა ხალხის იმ წლის ასეთმა დაავადებაშ გერმანიას დიდი
ზარალი მოუტანა. სახელმწიფომ დაჰკარგა, ერთის მხრით, 97 მილიო-
ნი საშუალო დღის ფასი-რაც 290 მილიონ მარკას = 145000000 მან.
უდრის და, მეორის მხრივ, 20 მილიონი მარკის = 10,000000 მან.
ზედმეტი ღირებულება, რაც უნდა იმ დროს განმავლობაში მუშებს
საშუალოსთვის შეემატნათ. გარდა ამისა სახელმწიფოს ზარალად უნდა
ჩაითვალოს ის 3000 მილიონი მარკაც = 150000000 მან. ძალიან მცი-
რედი გამონაკლისით, რაც დამზღვევ კასებს ავადყოფთა მოვლა-დაზმა-
რებაზედ დაეხარჯათ. აი ასეთი დიდია სახელმწიფოს ზარალი, თუ მი-
სი მუშათა კლასი ჯან-სალი არ არის. სულ სხვა ეკონომიკური მდგრად-
რება ექნებოდა სახელმწიფოს, რომ მას სანიტარული ზომების მიღ-
ბით, მუშათა კლასის შრომისა და ცხოვრების ანტისანიტარული პირო-
ბები გაეუმჯობესება და მით მუშების დაავადება $5-10^{\circ}/_0$ -მაინც შეემ-
ცირებინა. მუშათა კლასის გაჯანსაღება ნაწილობრივიც რომ ყოფილი-

ყო და გერმანიის მხოლოდ დამზღვევ კანონის ფარგლებში გატარებულიყო. მაინც სახელმწიფოს 15-30 მილიონი მარკა წმინდა მოგება ღარჩებოდა. მაგრამ დავანებოთ თავი ასეთ სათუო მსჯელობას. გერმანიის ცხოვრების სინამდვილემ უფრო ნათლად დამტკიცა რას ნიშნავს. სახელმწიფოს ეკონომიკური ცხოვრებისათვის მეშათა კლასის შრომისა და ოჯახური ცხოვრების პირობების სანიტარია-გიკიენის მიხედულობით გაუმჯობესება. და აი სინამდვილის საბუთები. ომიანობამდე გერმანიის სხვა და სხვა დასახლებულ -15 ათასიან და უფრო მეტ მცხოვრებიან ადგილებში —(ქალა ქებში, თემებში) საზოგადო სიკვდილიანობის კოეფიციენტი 27 წლის განმავლობაში (1877—1904)—269,9 შემთხვევიდან ყოველ ათი ათას კაცზედ 184,0 შემთხვევამდე დაეცა.

მაშასადამე გერმანიაში 1904 წ. თვითეულ ათი ათას კაცზედ 85, 9 შემთხვევით ნაკლები იხოცებოდა ვიდრე 1974 წ. ომიანობის წინა 1913 წ. გერმანიის მოსახლეობა 60,641,278 ადამიანს უდრიდა და იმ დროისთვისაც გერმანიის ხალხის სიკვდილიანობა ისეთივე რომ ყოფილიყო, როგორც 27 წ. წინეთ, გერმანიაში 85,9 × 60,641,278 = 590,897 ადამიანით მეტი ყოველ წლიურად უნდა დახოცილოყო ვიდრე ნამდვილად იხოცებოდა. გერმანიის ხალხს მაშასადამე ყოველ წლიურად 500,000 სულზედ მეტი სიცოცხლე ენახებოდა. ჩვენ ვიცით, რომ რობარუის გამოანგარიშებით საფრანგეთში ჯანმრთელი ადამიანს სიცოცხლის ღირებულება 1097 ფრანკს = 84 პ მარკას უდრის, რაც 405 მან. და .89 კაპ. და .422 მან. და 50 კაპ. შეადგენს. გერმანიაში ადამიანის სიცოცხლის ღირებულება ბევრნაირის მოსახრებით უფრო დიდი უნდა იყოს, ვიდრე საფრანგეთში. და აი აგრძნიას თუ ყოველ წლიურად ნახევარ მილიონი ადამიანის სიცოცხლე ენახებოდა, რასაკვირველია, ეზოგებოდა ის სიმღიდრე, რასაც მათი სიცოცხლე წარმოადგენდა. ეს სიმღიდრე კი 400 მილიონ მარკას = 200000000 მან. უდრის. მაგრამ ეს თანხა არ არის საბოლოოდ დაზოგილი თანხა, ცნობილია რომ საკრთოდ ავადმყოფთა ესა თუ ის ჩაოდენობა მხოლოდ სიკვდილიანობის მცირედ ნაწილს იძლევა. სტატისტიკას ავადმყოფობის და სიკვდილიანობის ციფრებით ურთიერთ დამოკიდებულება ასე აქვს გამოსახული-ყოველ ოცდათოთხმეტ ავადმყოფზედ ერთი შიცვალებული მოდის. მაშასადამე გერმანიაში სიკვდილიანობის შემცირებით ხალხის დაავადებაც პროცენტურად უნდა დაცოტავებულიყო, და აი ამ ანგარიშით ნახევარ მილიონ სიკვდილიდან გადარჩენილ სიცოცხლეს დახლოვებით

17 მილიონი სხვა და სხვა ნაირ თავიდან აცილებულ ავადმყოფობის შემთხვევა უდრის სტატისტიკის გამოკვლევით მიღებულია, რომ თვითებული ავადმყოფობა საშუალოდ ოცი დღე გრძელდება, მაშასადამე 17 მილიონი თავიდან აცილებულ ავადმყოფობათა შემთხვევით დაზოგვილია 340 მილიონი სამუშაო დღე, რაც დაახლოვებით ერთ მილიარდ შემატებულ სიმდიდრეს წარმოადგენს. ამ თანხას თუ მიუმატებთ იმ 400 მილიონსაც, რომლითაც პოლიტიკური ეკონომის მცნებით შენახულ (გადარჩენილ) სიცოცხლეთა ღირებულება გამოისახება, მაშინ ერის ყოველ წლიური შენამატი მილიარდ ნახევარს აღემატება, რაც სახელმწიფოს უაღრესად დიდ მოგებათ უნდა ჩაეთვალოს. და ეს აუარებელი ეროვნული სიმდიდრე მუშა ხალხის გაჯანსაღების შეღეგია. უკანასკნელი კი სახელმწიფოს მიერ სანიტარულ-გივიენური ზომებითაა მოპოვებული.

ასეთივე ფაქტიური მდგომარეობა შეიძლება აღინიშნოს ინგლის-შიაც. თხუთმეტი წლის (1875—1890) განმავლობაში ინგლისში ყოველ ათას კაცზედ სიკვდილიანობა 22,7 შემთხვევიდან 17,9 შემთხვევამდე დაეცა. თუ მივიღებთ მხედველობაში ინგლისის იმ დროის წოსახელმწიფის რაოდენობას, შეიძლება გამოვიანგარიშოთ, რომ შედარებით 1875 წლის სიკვდილიანობასთან 1890 წლებში ინგლისში 140,000 ადამიანით ნაკლები კვდებოდა. სიკვდილიანობის აღნიშნული დაცემა და მასთან შეხამბულ პროცენტულად დაავადების შემცირება, რომ ფულის ანგარიშზედ გადავიტანოთ — ერის ყოველ წლიური ეკონომიკური შენამატი 780 მილიონ მარკით = 390000000 მან. გამოიხატება. თუ რომ 1875 წ. შევადარებით არა ოთხოცდა ათიან წლებს არამედ ჩვენი დროის უფრო უახლოეს ხანას 1908 წ. ერის ეკონომიური შენამატი უფრო დიდი ჯამით-მილიარდ ნახევარი მარკით = 750000000 გან. გამოიხატება. მიზეზი ინგლისში ერის ეკონომიური წარმატებისა იგივეა-მუშა ხალხის გაჯანსაღება სანიტარულ-გივიენურ ზომების საშუალებით. ჩვენ გამოვარკვით მუშათა კლასის ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაცვის საკითხს ერის კეთილდღეობისათვის რა დიდი ეკონომიური შეიშვნელობა აქვს; მაგრამ საკითხის ამ მხრივ გაშუქება მშრომელთა კლასის ჯანმრთელობის მოვლა-პატრონობის საქმიანობის ეკონომიურ მიზან შეწონილობას სავსებით არ არკვევს. შედარებულ უნდა იქმნას მშრომელთა კლასის გადარჩენილ სიცოცხლეთა და იმავე კლასის განმტკიცებულ ჯანმრთელობის ღირებულების რაოდენობა, ერთის მხრივ, და

შშრომელთა კლასის გამაჯანსალებელ სანიტარულ საქმიანობაზედ გაწეულ ხარჯების რაოდენობა, მეორეს შერივ, რითაც უნდა გადაწყდეს საკითხი-ამართლებს თუ არ ერის ეკონომიური ის შენაძატი, რომელიც მუშათა კლასის მოპოვებული ჯანმრთელობით და გადარჩენილ სიცოცხლით გამოიხატება იმ დიდ ხარჯებს, რომელსაც სახელმწიფო მუშათა კლასის ჯანმრთელობის მოვლა-პატრონობაზე ეწვევა? ადვილი შესაძლებელია, რომ ერის ჯანმრთელობაზედ გაწეული ხარჯები გაცილებით აღემატებიან, სახელმწიფოს იმ ეკონომიურ შენამატზე, რომელსაც ჯანმრთელობის საქმიანობის შედევები მას აძლევენ. ეს მოვლენა მით უმეტესად ადვილი შესაძლებელია იმ ხალხის ცხოვრებაში, რომელიც ცკონმიურად და კულტურულად ჩამორჩენილია. ჩვენ ხელთა გვაქს მასალა, რომლითაც შეიძლება აქ დასტული საკითხი სავსებით გადაიჭრას ინგლისის ერის შესახებ. ინგლისის სანიტარული გამგებლობის უფროს ტორნე-ტორს გამოანგარიშებული აქვს ის ხარჯები, რომელიც ინგლისის სახელმწიფომ თხუთმეტი 1875—1889 წ. განმავლობაში კასწიათავისი ერის გაჯანსალებისათვის. 1875 წ. დგან 1884 წლამდე ჩვეულებრივი ყოველ წლიური ხარჯები 3,500000 მილიონ გირ. სტერლინგს = 33250000 მან. უდრის და არა ჩვეულებრივი კი საშუალოდ 6,250,000 გირ. სტერლინგს = 59375000 მან. სულ აღნიშნული ხნის ხარჯები წლიურად დაათლოვებით 10 მილ. გირ. სტერლინგს ანუ 200 მილ. მარკას უდრის. თითქმის იგივე ხარჯები გაწეულა ინგლისის მიერ 1884 წ. დან — 1889 წლამდეც. მაშასადამე თხუთმეტი წლის განმავლობაში ინგლისის მიერ სანიტარულ საქმიანობაზედ დახარჯულა წელიწადში 20 მილ. გირ. სტერ. იმავე დროს ინგლისის შენამატი კი წელიწადში 780 მილ. მარკას უდრის. მაშასადამე ერის ჯანმრთელობისათვის საჭირო სანიტარული საქმიანობა შეიძლება აღვნიშნოთ, როგორც ეროვნული-დიდათ მომგებიანი წარმოება, რომელიც სამშობლოს 290% ღივიდენდს აძლევს. და უნდა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ დივიდენდი კოველ წლიურად იზრდება, რადგანაც გაჯანსალებული ხალხის კეთილდღეობაც დღითი დღენაყოფიერდება და წინ მიღის, დასკვნა ექედგან შეიძლება მხოლოდ ერთი იყვეს: „ჯანმრთელობის შემნახველი თადარიგის ეკონომიური ღირებულება გაცილებით აღემატება იმ ხარჯებს, რომლებსაც სანიტარული საქმიანობა მოითხოვს“.

ამიტომ სრულიად მართალია ნოსიგი როცა ამბობს: „უაღრესად სცედბიან ერობები და სახელმწიფონი, როცა ყაირათის თვალსაზრისით

ცხოვრებაში გიგიენურ ზომების გატარებას ეწინააღმდევებიან იმ რწმენით მოცულნი, რომ ჯანმრთელობით ცხოვრება ეს ერთგვარი მედი-ლურებაა, თავისებური ფუფუნებაა და სახელმწიფონი იმდენად არ გამდიდრებულან, რომ ასეთი ფუფუნებით თავიანთ თავს გაუმასპინძლონენ. ამაზედ შემცდარი უსაფუძვლო აზრი არ შეიძლება ბევრი სხვა იყოს. პიროვნით თამამათ შეიძლება დატკიცდეს შემდეგი დებულება-ყოველი-ვე გონივრული ხარჯი, რომელიც გიგიენურ-სოციალური მიზნითა ხდება, არის ხალხის დიდი ეკონომიკური შემატება და იმავე დროს გა-მდიდრების წყარო“.

ე. ი. ლომთური.

ეროვნის მუშაობა

III

1914 წელს ოფიციალურმა რუსეთმა „დიდის აქტით“ იდლესასწა-ულა ერობის ამ წლის იუბილე. მრავალი სხვა და სხვა პროექტი იქ-ნა წარმოდგენილი საიუბილეო დღესასწაულისთვის. უმთავრესად კი ეს მოსაზრებები იუბილეის დღესასწაულის შესახებ ორ მთავარ მიმართულებას შეიცავდა. ერთი ნაწილი საიუბილეო დღესასწაულის შე-მდეგი პროექტის მომხრე იყო: უნდა გამართულიყო პეტროგრადში, სასახლეში, დიდი რაუტი, რომელსაც დაესწრებოდენ ერობის წარმომადგენლები, სადაც ერობის სახელით „ადრესი“ ექნებოდა მართმეული მათ უმაღლესობას. შეორე მიმართულებას კი საჭირო მიაჩნდა ერობის დღესასწაული აღნიშნა საერობო კავშირის დაწესებით. როგორც მკი-თხველიც მიხვდება ორივ ეს მიმართულება იბრძოდა ერობის იმ მო-ლვაწეთა წრეში, რომელნიც ოფიციალურ ორსეთის თაყვანის მცემლები იყნვენ. „მესამე ელემენტის“ მოლვაწეობამდა, შემდეგ 905—6 წლის ამბებმა საოცრათ დააფრითხო მანამდრე მოლიბერალო წრეები და ისინი ერთბაშად მიემხრენ იმ ოფიციალურ რუსეთს, რომელმაც დემოკრატი-ულ ნაწილს ერობისას სატიკი რეპრესიებით უპასუხა. და აი დღეს, 50 წლის იუბილეის დღესასწაულზე ეს ნაწილი საერობო მოლვაწეთა სწორეთ ამ თვალსაზრისით უდგებოდა ერობის დღესასწაულს. მას სუ-რდა აფიციალური რაუტით და „ადრესით“ თავისი უქვეშევრდომილე-სი გრძნობები გამოეჩატა, ხოლო თითქოს მოლიბერალო ნაწილი, რო-

მელაც ფიქრობდა საერობო კავშირის შექმნას ამავე მოსაზრებით ასაბუთებდა ამ შოთხოვნილებას. ცხადია ყოველივე ამას დემოკრატიული ნაწილი ერობისა ებრძოდა, რაღან იგი ნათლათ ხედავდა თუ რას ჩადიოდენ, როგორ ვაჭრობდენ ხალხის სახელით ერობის წარმომადგელები მთავრობის წინაშე. ცხადია ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნებოდა იმაზე, თუ როგორ ხვდებოდა პირველ პროექტს მაშინ დელი რუსეთის დემოკრატიია. ხოლო რაიცა შეეხება მეორე პროექტს საერობო კავშირის შექმნისას აი რას ფიქრობდა და როგორ აზროვნებდა ამ შემთხვევაში დემოკრატიული რუსეთი: გაზ. „კიევსკია მისლი“ მაგალითად სწერდა: „უფიმის საერობო თათბირის მიერ გამოთქმული აზრი, რომ იუბილეს დღესასწაულის აღსანიშნავად უნდა შეიქმნას საერობო კავშირი, რომელიც ითამაშებს როლს „საერობო პარლამენტისას“ თ. ეს. უკანასკნელი ბევრათ უფრო რეაქციონური იქნება, ვინემ ჩვენი მე-4-ე „პარლამენტი“ (სარ. სათათბირო). ერობის „ზუბრებმა“ პროცესტი კი არადიდის გულმოდგინებით უნდა დაიცვან „რუსეთის ერობის პალატის“ (სტოლიპინის გამოთქმა) იდეა სახალხო წარმომადგენლობის მავივრათ. მაკრამ, ცხადია, მათ არაეთიარ პალატას არ შეაქმნევინებენ. მათ ძველებურათ ცხოვრება უფრო ულიმით, გუბერნატორებისა და ისპრავნიკების „განათლებული ხელმძღვანელობით“ თ. დემოკრატიული რუსეთი სრულებითაც არ იყო კმაყოფილი იმ პროექტებით, რომლითაც საერობო დღესასწაული უნდა გადაეხადათ.

და ერობის დღესასწაულმა, იუბილემ, მართლაც და „თავისებურათ“ ჩაიარა. პეტროვრადში გაიმართა დიუი რაუტი, რომელზედაც მოსკოვის საგუბერნიო ერობის თავმჯდომარებ შლიპპემ პატიოსანი სიტყვა უოხრა მათ უმაღლესობას, შემდეგ გაიმართა სადილი და..... ერობის მოღვაწენი სასოწარკვეთილნი დაბრუნდენ შინ. რაუტმა ვერ დააკმაყოფილა ვეტც ერთი ერობის წარმომადგენელნი, ისეთებიც კი, რომელნიც ამ რაუტში ხედავდენ უქვეშევრდომილესი გრძნობების გამოსახვას. დიდი ლაპარაკი იუბილეს მოწყობამდი გაიმართა იმის გარშემო მოეხსენებია თუ არა შლიპპეს თავის სიტყვაში ის აღთქმანი, რომელიც 12 დეკემბრის 1904 წ. აქტში იყო აღნისხნული. და ერობის მესვეურნი იმდენათ უსუსურნი გამოდგნენ. რომ ამის თქმაც კი ვერ გაბედეს. პეტროვრადის იუბილე, ერთგვარი ნიშანი შეიქნა პროვინცია-სათვის ამავე დღესასწაულის აღსანიშნავად. ყველგან ერთი და იგივე ამბავი მოხდა; ჩვეულებრივი სიტყვები, თაყვანისცემა. აღმინისტრაციის

წარმომადგენელთა „დიდების წინაშე“, კრაფტარეტული „რეჩები“ და შემდეგ „მხიარული—მოწყენილი“ შინ დაბრუნება. მაგრამ ერთგან ეს დღესასწაული გასცილდა შაბლონს, მიიღო მართლაც მხიარულებისა და სიხალისის იერი და ეს იყო სარატოვის საიუბილეო დღესასწაული თითქმის რევოლიუციონური აქტი იყო ამ იუბილეთა წყებაში.

აქ დღესასწაული თვით საზოგადოებაშ-ხალხშა მოაწყო. იქ კი პეტროგრადში—ან სხვაგან ეს დღესასწაული ოფიციალურ რუსეთის მერვეურთაგან იყო მოწყობილი.

სარატოვში კი სულ სხვაგვარათ მოხდა. საზეიმო სხდომაზე დღესასწაულის მომწყობო არც კი მოეპატიუებიათ წარჩინებული წოდება, აღმინისტრაცია და მემარჯვენე პრესა. თვით დღესასწაული საგუბერნიო ერობის ყრილობასთან იყო შეფარდებული და ამიტომ თავად-აზნაურობის ხმოსნები იძულებულნი იყვნენ ამ, თავის აბუჩათ ამგდებ, დღესასწაულს დასწრებოდენ. მრავალი რამ საყურადღებო აღმოჩნდა. ადგილობრივი ნაფიც ვეჭილთა საბჭო მიესალმა რა ერობას უსურვა მას „თავისუფალი ერობის თავისუფალ რუსეთში არსებობა“, და ამ ლოზუნგს დამსწრეთა. დიდი უმრავლესობა დაუსრულებელი ტაშის ცემით შეხვდა. ეს ლოზუნგი შემჯებ კიდევ უფრო გაბედულათ გამეორებულ იქნა სტუდენტთა მილიციაში და ბევრ სხვა დეპუტატთა ადრესში.

და მართლაც სარატოვის იუბილე, რომელიც ადგილობრივმა დფ-მოკრატიამ მოაწყო, იყო ერთად ერთი ნათელი სხვიც ამ საერობო დღესასწაულში. ხალხის თავის ინტერესების საბრძოლველად გამოსვლა კრებაში გამოაშეარავდა ერობის ერთ დიდ საკითხში, ეს იყო წვრილი საერობო ერთეულის შემოღების საკითხი.

IV.

დამახასიათებელია ის ცვალებადობა პოზიციისა, რომელიც განიცადა, მემარცხენე და მემარჯვენე ნაწილმა რუსეთისამ წვრილი საერობო ერთეულის საკითხში.

როდესაც პირველათ საერობო რეჟორშა ტარდებოდა რუსეთში რეაქციონური ნაწილი რუსეთისა დაუინებით მოითხოვდა წვრილი საერობო ერთეულის შემოღებას ერობაში. რეაქციონური რუსეთის მოთხოვნა იმ ხანებში სავსებით გასაგები იყო. გლეხობა, რომელიც

ის იუკ ვანთავისუფლდა ბატონობის უდლიდან, თუ კიდევ წვრილ საერობო ერთეულში მოქმედოდა ადვილად გახდებოდა ძველებურალვე საყვლეფ საგნათ თავად-აზნაურობისა. ამას კარგატ და ნათლათ ხედავდა „ბრწყინვალე წოდება“ და ამიტომაც სთვლიდა იგი ერობას 1861 წლის ოფიციალის კომპენსაციათ. მაგრამ, თუ კი არსებობდა მაშინ მოლიბერალო ნაწილი ოუსეთისა, ის წინააღმდეგი გახდა ამ მოთხოვნისა სწორეთ აშავე თვალსაზრისით. იგი ხედავდა, რომ თუ წვრილი საერობო ერთეული იქნებოდა შემოღებული „ბრწყინვალე წოდება“, ისევ ძველებურათ გახდებოდა სრული ბატონ-პატრონი გლეხობისა.

მაგრამ დროებამ განვლო. ხალხში შეგნებამ იმატა, „მესამე ელემენტის“ მუშაობამ ნაყოფი ვამოიღო, 90 წლის ოფიციალმა თავად-აზნაურობას კოლექტიური ბატონობა ჩაუგდო ხელთ ერობაში, და ამან ძლიერ გაუქმნელა დემოკრატიას ერობაში ბრძოლა. მაშინ მკაცრათ წამოიჭრა საკითხი წვრილი საერობო ერთეულის შესახებ. ახლა ამას მთელი მოწინავე რუსეთი ითხოვდა, რომ ყველა დარწმუნებულიყო იმაში, რომ შეგნებულ, გათვისუნობებულ ხალხს ბევრათ უჯრო აღვილათ შეეძლებოდა წვრილ საერობო ერთეულში თავად-აზნაურობის აღვიზ-ახსნილობის შეკავება და დამარცხება. აქ უკველია გამარჯვება დემოკრატიას დარჩებოდა. ამას მეორეს მხრით ძლიერ კარგათ გრძნობდა თვით რეაქცია. მიტომაც იგი მთელი თავის სიმკაცრით ებრძოდა მას და კიდევაც დაასამარა ეს პროექტი. თავად-აზნაურულმა და რეაქციონურმა სახელმწიფო საბჭომ:

ამ რიგათ ბრძოლა ინტერესებს შორის მკაფიოთ გამოისახა ზემოთ მოყვანილ ფაქტში: ამ საკითხს წინაშე იდგა ოუსეთის ერობა, როცა საერთაშორისო კატასტროფა დაიწყო, რომელმაც მთელი ოუსეთი საომარ ქარცეცხლში ჩააგდო. ახლა ყველას გულისყური ომმა მიიპყრო და მან შთანთქა ყოველი მუშაობა. ოში რევოლუციით დამთავრდა, რომელმაც თავისი განვითარებაც ვერ მოასწრო, რადგან ოქტომბრის ამბებმა ბატონობა ბალშევიკებს ჩაუგდო ხელში. ბალშევიკების გამარჯვებით კი იშეკება სულ—სხვა ხანა ოუსეთის ცხოვრებაში, რომელმაც ჯვარი დაუსვა ოუსეთს, რევოლუციონურ რუსეთსაც, და ახალი ერაშექმნა მის არსებობაში. ამითი ჩვენც გავათავებთ ოუსეთის ერობაზე ლაპარაკს და დაუბრუნდებით მას იმდენათ, რამდენათ ზემოთმოყვანილი ისტორია მასალათ გამოგვადგება ჩვენი ერობის მომავალის გარკვევის საკითხში.

ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი:

(საქართველოს კონსტიტუციის პროექტიდან)

თავი გეთოთხევთე

ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი

მუხლი 144

არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს ოქსპუბლიკის რომელიც მე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური-მართვა-გამგეობა: ყველას აქვს უფლება წეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა-ენაზე.

მუხლი 145

ამა თუ იმ უმცირესობისადმი მიკუთვნება განისაზღვრება თანა-ხმად მოქალაქეთა სურვილისა და მათი ნებაყოფლობითი განცხადებისა.

მუხლი 146

საქართველოს ოქსპუბლიკის ყოველ ეროვნულ უმცირესობას უფლება აქვს შეადგინოს ეროვნული კავშირი, მოაწყოს და დაიკვას თავისი კულტურული საქმე კონსტიტუციისა და კანონების საზღვრებში.

მუხლი 147

ეროვნულ კავშირს უფლება აქვს გახდეს იურიდიულ პიროვნებად საერთო წესებისა..

მუხლი 148

არ შეიძლება შეიზღუდოს ვისიმე პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება ეროვნულ კავშირში მონაწილეობისათვის.

მუხლი 149

ყოველ ეროვნულ კავშირს შეუძლიან აღძრას და დაიკვას სასამა-

რთლოს წინაშე ის საქმე, რომელიც შეიცავს კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებულ ეროვნულ უმცირესობის უფლების დარღვევას.

მუხლი 150

საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო, სამოქალაქო, სამხედრო და საქალაქო თუ საერობო სამსახური..

მუხლი 151

ეროვნული ნარევი ადგილობრივი მმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისათვის გაღებული თანხით დაარსოს საკმაო რიცხვი სკოლების და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა მოქალაქეთა ეროვნულ შემადგენლობის პორტორციის მიხედვით.

მუხლი 152

ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს ბავშვის დედა-ენაზე.

მუხლი 153

ადგილობრივ მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20% -ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედა-ენაზედაც.

მუხლი 154

კანონთა გამოქვეყნების წესი ეროვნულ უმცირესობისათვის განისაზღვრება ცალკე კანონით.

მუხლი 155

არა ქართველ დეპუტატს; რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, შეუძლიან პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედა-ენით.

საერობო მოღვაწეობა.

ჩვენის გამოფხიზლების ხანის საუკეთესო თაობა ნახევარ საუკუნოზე მეტს შესტრფოდა ჩვენში გრობის შემოღებას.

ერობაშ რესეთში ხალხს დიდი სამსახური გაუწია, ფეხზე წამოაჭენა, დაწინაურა და, ალბად, ყოველივე ეს რესეთის უპასუხისმგებლო

ზელისუფლებმა კარგად იცოდნენ, რომ ჩვენთვის ასეთი ტიადი წყობილების მონიშება არ ემეტებოდათ.

მაგრამ მოხდა უდიდესი ამბავი, — რუსეთის რევოლიუცია, — რომელსაც ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენა. რაღა თქმა უნდა, თავისუფალმა ერმა ფრთა გაშალა, თვითმოქმედებას შეუდგა და, სხვათა შორის, ერობაც შემოილო.

ჩვენის ქვეყნის თითქმის ყოველი კუთხე ეღირსა ამ სასიკეთო წყობილებას, ყოველგან მოეწყო თვით ხალხისგანვე არჩეული საერობო ერთეულები — თემები ..

ქველი წყობილების უამს, რუსთა ბატონობის ღროს, ჩვენი თვით არსებობის თითქმის ყოველი მხარე გაპარტახდა. ბოქაულ-ჩატრების სინაბარა დარჩენილი ქვეყანა თითქმის გაველურდა: მოუწყობელი და ბინძური სოფელი, ოლრო-ჩოლრო და მიუვალი გზები, უსკოლობა და თვალ-გაუვალი გონებრივი წყვდიადი, პირველყოფილი წესი მესაქონლობა-მეურნეობისა, კულტურული ჩამორჩენილობა, ბუნებრივი სიმღიდოს გამუქთება ...

ჩვენს ასეთ დაბეჭავებულ მდგომარეობას ფეხზე დააყენებს მხოლოდ თვით ხალხის ნდობით აღჭურვილი, მისგანვე არჩეული ერობა და მისი ერთეული — თემი, რომელიც ხალხის პირდაპირი მზრუნველია, და მთავრობის მთავარი ძალა სახელმწიფოს აღორძინება-გაძლიერების საქმეშია.

მაგრამ ერობა ჯერ კიდევ ვერ დაეპატრონა სავსებით სოფლის ცხოვრებას. ამ მხრივ მას ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი. ზოგიერთი საერობო დაწესებულება ძალიან ბევრ სხვა-და-სხვა საქმეს ეკიდება და თავის უფრო მახლობელ, პირდაპირ დანიშნულებას ველარ ემსახურება რიგიანად.

სოფელი ჯერ ისევ სიბნელესა და სიბინძურეშია.

სკოლები, აღმოსავლეთ საქართველოში მაინც, ვერ არიან სასურველ მდგომარეობაში. ეკონომიკური კრიზისი ძალიან ეტყობა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. სკოლას ან მინები აკლია, ან შეშა. შენობები ინგრევა. მასწავლებელი ხშირად უჯამაგიროდ ზის.

არც გზებია უკეთეს მდგომარეობაში; მათ შესაკეთებლად დღეს ერთობ ცოტას ზრუნავენ.

ვენახები და ნათესობა ნიაღვრისაგან ფუჭედება. ყოველ წელი-წადს სეტყვა ანადგურებს ყველაფერს. ხალხი დატაკდება ...

უველა ამ უბედურების თავიდან აცდენა უნდა შეიძლოს ერობამ, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ამ შერივ ნაკლებად მუშაობს.

უბრალო სახევებლებს გზის, მიცემა უნდა, გამოცდილი ხალხი და ტეხნიკოსები ერობა-თემისაგან საჭირო დახმარებას თხოულობენ, მაგრამ ყურის მგდებელი არავინ არის.

გამოფიტულ მიწას სასუქი უნდა, გაპატივება,—ეს არც ისე ძნელია: სასუქი რამდენიც გნებავთ (განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში), ზოგიერთი სოფლები ხომ ვეება გადამწვარ სასუქის ზვინებს. წარმოადგენს,—მაგრამ მუშაობა არაა, რომ ერთის მხრით ამ სასუქისგან სოფელი გაიწმინდოს, მეორეს მხრით იქვე მდებარე ვენახი ანუ საყანე მიწა გაპატივდეს და, — მესამე მხრივ— მისი უხვი. შემოსავლით მოჭირნახულე მეურნის ოჯახი დოვლათით აღივსოს.

მთესველს შერჩეული და ჯიშიანი თესლი ეჭირვება, — ნათხოვარი ფქვილის ნამცხვარით კიდობანი ვერ გაივსება, — მაგრამ ამ მხრითაც არაფერი, ან სულ ძალიან ცოტა კეთდება.

შიგნო-საცავ-სამკითხველოები, სახალხო სახლები, თეატრები, ლაკვირაო და საღამოს კურსები იშვიათი მოვლენაა.

უველა ამის მოსაწესრიგებლად უნდა იზრუნოს ერობამ, თემმა.

მართალია ამ ახალ საქმეს, — საერობო საქმიანობას, — ჩვენი ქვეყანა ერთი — ორი წლის განმავლობაში იდეალურად, ყოველმხრივ სასურველად ვერ მოაწყობდა, მაგრამ ბევრი რამის გაკეთება, ბევრი შეცდომის აცილება ახლაც შეიძლება.

ერობა თხოულობს შეკავშირებას, შეთანხმებულ მუშაობას. აქ არ უნდა ჰქონდეს აღილი წვრილშანობას, შენ-ჩემობას, ჯგუფობრიობას და პარტიულობას.

ერობა უდიდესი სახელმწიფო დაწესებულებაა და აქ შეუძლიან რესპუბლიკის ყოველ ერთგულ მოქალაქეს, რა ერის, რა სარწმუნოების, რა სქესის, რა რწმენისა და მიმართულებისაც უნდა იყოს, იმოლვაწოს...

სოფელს უნდა დაუბრუნდეს ნაზღვილი ინტელიგენცია.

საქმეში უნდა ჩაებას ყველა. პრაქტიკული და საერთო ნდობით აღჭურვილი ხალხი, მხარში უნდა ამოუდგნენ იმ საოერო მუშაქებს, რომელთაც გულწრფელობა, ხალისი და ხალხის სიყვარული გულში უღვივისთ და მკოდნე ხელმძღვანელის დახმარებით ნამდვილ სასარგებლო საერობო მოღვაწეებად გარდიქმნებიან.

მართალია, მძიმეა სოფლად მუშაობა, მათ უმეტეს სახელმწიფო აღმშენებლობითი მუშაობა, მაგრამ ჩვენმა თაობაშ ეს მძიმე ჯვარიც უნდა აიტანოს გოლგოთაზე, რადგან ამაშია უეჭველი საწინდარი ერის აღორძინებისა.

პოლიტიკური დამოუკიდებლობა ფუჭი იქნება, თუ ეკონომიკურად არ გავმძლავრდით.

ეს კი შეუძლიან საერობო მოღვაწეთა თავის მოვალეობის მტკიცე შეჯნებას, თავგამოდებას, ხალხის, ერისა და ქვეყნის სიყვარულით. გამსჭვალვას.

ი. იმედაშვილი.

პატარა წერილები

სომხეთის ტრადიცია და კომუნისტები.

კვლავ სისხლის სუნი დადგა ჩვენს ახლოს. აღაშიანთა ხოცაულება გამეფდა; შეუბრალებლად წყვეტენ ჩვენს მეზობელ ერს, სომხებს. ჩვენ ამ მოვლენას არ შეგვიძლია გვლგრილად უყუროთ, რადგანაც ჰუმანობასაც რომ თავი დავანებოთ, სომხეთის ტრადიციამ ჩვენთვისაც შეიძლება ერთგვარი საშიშროება და საფრთხე შექმნას ვინაიდგან ამიერკავკასიის ერთა ბედი, და მათ შორის ჩვენიც, ერთმანეთთან მჭიდროთ არის გადაკვანძული: ერთის ერის უბედურება თუ ბედინიერება ერთმანეთთან მჭიდროთ არის დაკავშირებული; ამას ჩვენ კარგახანია ყველას გასაგონათ გავიძახით, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დღემდე მაინც სავსებით ვერ შეიგნეს ჩვენმა მეზობლებმა.

ვინ ებრძვის დღეს სომხეთს, ან რა უნდათ მისაგან? მას ებრძვის კბილებ დამტვრეული, დასუსტებულ ოსმალთა იმპერიალიზმის საუკეთესო წარმომადგენელი ქეპალი, რომელსაც სურს დასუსტებულ ოსმალეთის გაერთიანებას მსხვერპლად მოუტანს მთელი სომხეთის ერი. ასეთია მისი მიზანი მოკლედ. მაგრამ ასე არ უყურებენ სომხეთის ტრადიციას კომუნისტები, — არიან უტკიფრად, წარბ შეუხრელად ამბობენ: „სტრატეგიული მოსაზრება აიძულებს ქემალს სამხრეთ-აღმოსავლეთი—საკენ მიმართოს თავისი ძალა და აქედან მოსალოდნელი საშიშროება თავიდან აიცილოს სტრატეგიული და არ პოლიტიკური. ქემალის

მოძრაობა დიდათ პროგრესიული მოვლენაა და მთელი ჩვენი სიმპატია მათ მხარეზეა. („იხ. კომ. № 60“). აი რას ამბობს კომუნისტების პარტია ერთა სოლიდარობაზე, იმპერიალიზმის მოსპობაზე გაიძახის, საქმით კი სხვა და სხვა ერთს სისხლით აქვს პირი მოთხუცული. ქემალის სტრატეგიის განსახორციებლად აღარ იანთა გვამების გროვა ყოფილა საჭირო, და „ეს პროგრესიული“ მოვლენაა გაიძახიან. ამაზე შორს არ წასულია არც ერთი საუკუნის ბარბაროსობა. ბოლშევიკების პირსისხლიან ისმალ იმპერიალისტებთან კავშირი ჩვენთვის დიდი ხანია რაც ცნობილია; ამ კავშირს მიზნად აქვს ამიტრ-კავკასიის იმ რესპუბლიკების განივებაც, რომელებიც ჯერ კიდევ არ წამოგებულან ამ ორ მოკავშირე იმპერიალისტურ „სახელმწიფოთა“ „წრთელ“ ან კესზე; მათი „სტრატეგია“ მოითხოვს გადათელოს სომხეთი და გზა გაუკაფონ დემოკრატიულ საქართველოსკენ. ამითი ცხადია, კომუნისტების აზრით რუსეთთან ჩვენი დადებული ხელშეკრულება არ დაირღვევა; იბრძვის ოსმალეთი ქემალ-ფაშის სახით და არა საბჭოთა რუსეთით იტყვიან და ხელშეკრულების ფორმალური მხარეც უვნებლად დარჩება; მაგრამ ასეთი შეხამებული სახვევით ძალიან ქნელია საქართველოს თვალის ახვევა, ამაში რაოდენიმეჯერ დავარწმუნეთ ჩვენი ბოლშევიკები. არც სომხეთის ერის მისპობაა ასე ადვილი: დღეს მთელი სომხეთის ერი ფეხზე სჭაბა, ქუდზე კაცს მოუწოდებენ კარზე მოსულ მტრის წინაამლდეგ. რომ ძლიერია ეროვნული თავდაცვის ინსტიქტი ამას ბოლშევიკები ქემალის „სტრატეგიულ“ კომპანიის დამარცხებაშიაც მალე დაინახვენ.

დევ, იყოს კომუნისტების სიმპატია ქემალისაკენ, ყველა ისმალეთის იმპერიალიზმები მათვის დაგვილოუნია. ჩვენ კი, მთელი ჩვენი სიმპატიით წამებულ სომხის ერთან ვართ: ჩვენ გვრწამს, რომ მთელი საქართველოს დემოკრატია სასტიკ პროტესტს განაცხადებს სომხეთის ტრალედიის მომწყობ-ხელმძღვანელთა წინაამლდეგ.

პასუხისმგებლობის ქულტურა

ყველა სახელმწიფოს სიმტკიცე, კეთილ დღეობა როგორი ფორმისაც არ უნდა იყოს ის, დამოკიდებულია მის მოქალაქეთა პასუხის მეტლობაზე, ნაკისრ მოვალეობის შეგნებაზე. თუ თვითოულ მოქალაქეში საერთოდ და კერძოდ სახელმწიფოს მოხელში განვითარებული არ არის პასუხის მეტლობის კულტურა, ისე სახელმწიფოს საქმეები კეთილად ვერ წარიმართება. ამ მხრივ, სამწუხაროდ, ჩვენ მეტად უნუ-

გეში მდგომარეობაში ვართ: ბევრი მოხელე ვერც კი გრძნობს ნაკისრ მოვალეობის სიმძიმეს და ვალდებულობას სახელმწიფოს წინაშე. საზოგადოებრივ მოვალეობის აღსრულება სხვათაშორისო. საქმედ მიგვაჩნია, ყველაფერში შინაურულობას ვიჩენთ და ხშირად ზოგნი ბოროტ-მოქმედებასაც კი არ ერიდებიან. მთავრობის თავმჯდომარის უკანასკნელმა ბრძანებამ¹⁾ პურის მომარაგების გამო ეს ნათლად დაამტკიცა. ამ საერთო გამწვავებულ ეკონომიურ კრიზისების დროს მუშა-მოსამსახურებს ისეთი პური ეძლეოდათ, რომლის ჭამა რაც უნდა მშიერი უნდა ყოფილიყვავით მაინც საძნელო და თან საშაშიც იყო; მღელვარება პურის გარშემო დღითი დღე მწვავდებოდა, მაგრამ მუშა-მოსამსახურენი. მაინც ითმენდენ ნახევრად ტალახიან პურის ჭამის, რადგანაც მას აწერდენ საერთოდ სახელმწიფოს ეკონომიურ კრიზისს. მაგრამ ამ საგნისათვის საგანგებოდ დანიშნულმა კომისიამ, რასაც შედეგათ მოჰყვა მთავრობის თავმჯდომარის ხსენებული ბრძანება, სულ წინაღმდეგი გამოაშკარავა: დამნაშავენი აღმოჩნდენ ისეთი პირნი, რომელთა პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა თავის სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეთათვის საღი პური მოეწოდებია, მაგრამ უყურადღებობას ვინ ჩივის ზოვ მათგანს ბოროტ-მოქმედებაც კი ჩაუდენია.

ამ ბოლო დროს საერთოდ მოხელეთა უპასუხისმგებლობამ ქრონიკული ხასიათი შეიძლო, რამაც შეიძლება ერთგვარ კატოსტროფის წინაშეც კი დაგვაყენოს; ციდან ხომ ვერ ჩამოვიყვანთ ხალ ხს, რა გვიხსნის თუ არა პასუხის მგებლობის კულტურის საკმაოდ განვითარება თვითეულ სახელმწიფო მოხელეში, რომელსაც გვალება ამა თუ იმ სახელმწიფო ფუნქციის ასრულება. დროა შევიგნოთ პასუხის მგებლობის მოთხოვნა, თორემ დასჯის შიშით მოვალეობის პირნათლად ასრულება მაგ რიგათ ვერ მოგვცემს სასურველ ნაყოფს.

როგორც ერობები, ისე თემები სასტიკად უნდა ებრძოლონ ამ მოვლენას: სამსახურში ცოტაოდენი ჩადენილი და დანაშაულიც კი არ უნდა ეპატიოს მოხელეს, არამც თუ ბოროტმოქმედება. ამ შემთხვევაში; დიდი თუ პატარა მოხელე ყველა თანასწორად უნდა დაისაჯოს. თუ, ამ სენთან ბრძოლაში მთავრობის ერობებიც არ დაეხმარა, მარტო მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებები ბოროტებას ვერ აღმოფხვრიან....

¹⁾ ბრძანების ფორმალურ მხარეს ახლა არ ვეხებიღ.

ბრძოლა საქონლის ჭირთან.

ჩვენი ნახევრად გავერანებული მეურნეობის ოვითეული ნაწილი საჭიროებს გამოჯანსალებას, მკიცრ ნიადაგზე დამყარებას. რა არის მეურნეობისათვის ყველაზე უფრო საჭირო თუ არა საქონლი. ეს კარგათ იცის. ჩვენმა გლეხმა და მიტომ არის, რომ უხარ-კამეჩოდ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია. — უხარო გლეხი კაცი, რა კაციამ იციან ხლა თქმა გლეხებმა. მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ჩვენში საქონლის მოვლა-მოშენებასაც არა აქვს ჯეროვანი ყურადღება მიპყრობილი. ზოგან ისე დაიარავებული, გადაგვარებულია საქონლის ჯიში, რომ მის ყოლას ზარალის შეტი არა მოაქვსრა; რამდენჯერ თქმულა საქონლის ჯიშის გაუმჯობესობის შესახებ, მაგრამ საქმეს მაინც არაფერი ეშველა. ამ ბოლო ხებში კი საქონლის ჯიშის გაუმჯობესებას ვინ ჩივა, რაც არის იმასაც მუსრს ავლებს საქონლის ჭირი. ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ ნაწილებში დიდი ზარალი მიაყენა მცხოვრებთ საქონლის ჭირმა; ბევრი მიწის მუშა აატირა; ამ სამწუხარო მოვლენას ყურადღება მიაკცია შინ. საქ. სამინისტრომ, სადაც დაარსდა ვეტერინარ-სანიტარული განყოფილება, რომელიც კარგა ხანია ებრძვის საქონლის ჭირს და უნდა ითქვას, რომ ამ ბრძოლამ ბევრგან სასურველი ნაყოფიც გამოიღო.

საქონლის ჭირთან უფრო ნაყოფიერ ბრძოლისათვის ვეტერინარულმა განყოფილებამ გამოსცა „დროებითი წესდება საქონლის ჭირთან ბრძოლისა“, საიდანაც საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ერობების საყურადღებოდ შემდეგი მნიშვნელოვანი პუნქტები:

— საქონლის პატრონი მოვალეა დაუყონებლივ აცნობოს ადგილობრივ ერობის გამგეობას ანუ პირდაპირ ექიმ-ვეტერინარს, როდესაც მის საქონელში აღმოჩნდება საეჭვო ავადმყოფი გადამდები სენის ნიშნებით, ან უეცრად მომკვდარი.

— ერობის გამგეობა, მიიღებს რა განცხადებას ავადმყოფ, ან მკვდარ საქონლის შესახებ, მოვალეა დაუყონებლივ აცნობოს ადგილობრივ ექიმ-ვეტერინარს და მის მოსვლამდის კი მიიღოს შემდეგი წინასწარი ზომები: ა) გამოაცალკეოს საღი საქონელი ავადმყოფებიდან, ბ) ჩამარხოს მკვდარი საქონელი განცალკევებულ ალაგას, რომელიც შემთარებული უნდა იყოს არხით ან ღობით, გ) აკრძალოს საქონლის გადარეკა და საქონლის ნედლი. მასალის და აგრეთვე თივის, ჩალის და ბზის გადატანა სხვა სოფელებში.

ექიმი ვეტერინარი ცნობის მიღებისთანავე საქონლის ავადმყოფობის შესახებ მოვალეა მიაშუროს იმ ადგილს, და ერობის წარმომადგენელის და ორი საქონლის პატრონის თანადასწრებით გასინჯოს ავადმყოფი საქონელი, და თუ არის მკვდარი — გასჭრას სენის გამოსაკვლევად.

— დაჭირიანებულ სოფელში აშკარად ავადმყოფი და სიცხეაწეული საქონელი ცალკევდება და თავსდება განსკუთრებულ ბოსელში ან მოლობილში.

— აღმასრულებელ კომიტეტში შედიან ექიმი-ვეტერინარი, როგორც თავმჯდომარე, ერობის გამგეობის წარმომადგენელი (ქალაქებში თვითმართველობის წარმომადგენელი) და ორი ადგილობრივი საქონლის პატრონი ამორჩეული მცხოვრებთაგან. აღმასრულებელ კომისიის მოქმედება გრძელდება საკარანტინო წესების მოხსნამდის. კომისიას ყველა განახენი შეაქვს ოქმში, რომელზედაც ხელს აწერენ იქ დამსწრე წევრნი. ასლი ოქმისა დაუყონებლივ ეგზავნება ერთი — შ. ს. ს. ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილებას და ერთიც ერობის გამგეობას.

დაჭირიანებულ სოფელში აღმასრულებელი კომისია მოვალეა მიღლოს შედეგი ზომები:

ა) აღნიშნოს დაჭირიანებულ სოფლის საზღვრები, დააწესოს ამ საზღვრებში კარანტინი და მასზედ თვალყურის დაჭრა დაავალოს მცხოვრებთ.

ბ) შეაღვინოს საქონლის საკომლო სია და დააწესოს საქონელზე საეტერინარო ზედამხედველობა.

გ) აირჩიოს შესაფერი ადგილი საქონლის ლეშის ჩასამარხად.

დ) დააწესოს სავალდებულო აცრა დაჭირიანებულ სოფლის საქონლისა.

ე) აირჩიოს შესაფერი ადგილი საქონლის დასაბმელად და ასაცრელად. იზრუნოს ასაცრელ იარაღების, შრტაის და სხვა ასაცრელ მასალების შენახვაზე.

შემდეგ წესდებაში მოყვანილია ზოგიერთი ფორმალური მხარეები, რომელიც დცულ უნდა იქნეს.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ერობები, თემები სავსე-ებით ისარგებლებენ საქონლის ჭირთან ბრძოლის ზემო აღნიშნული საშუალებებით, რითაც ისინი დიდ სამსახურს გაუწევენ ჩვენს სასოფლო მეურნეობას, და იხსნიან სოფლის მუშებს საქონლის ჭირის გამანადგურებელ ზარალისაგან.

ეკონომიური კრიზისის გარშემო.

დღევანდელმა ეკონომიურმა კრიზისმა სახელმწიფოს საყოველთაო ჭურადღება მიიპყრო. დღეს ყველა ამ მძიმე საკითხის გარშემო ვფუნ- ფუსებთ, ერთის შეხედვით ვითომ კიდევაც ვაკეთებთ რასმე, მაგრამ ეკონომიური პირობები თან და თან ჯოჯოხეთურ, ხასიათს ღებულობს, ის გველეშაპს დაემგზავსა, რომელსაც ახლოს ვერავინ ეკარება და რო- მელიც ყველას შთანთქმას და ჩაყლაპას უპირებს. ს. დ. ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით 13 ოქტომბერს შესდგა ქალაქის საბჭოს ხმო- სანთა დარბაზში პარტიის ყველა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თათბირი, რომლის მიზანი იყო დღევანდელი ეკონომიური მდგომარეო- ბის ყოველ მხრივ განხილვა და მის შესამსუბუქებლათ სათანადო სა- შუალებათა გამოძებნა.

პირველად მოხსენება გააკეთა მთავრობის თავმჯდომარე ნ. ნ. ჯორდანიამ, მოხსენება შინაარსიანი იყო. მან ჯერ აღნიშნა ის ეკო- ნომიური პირობები, რომლებშიაც ომის გამო ჩავარდა საერთოდ მაე- ლი ევროპა და კერძოთ საქართველო. შემდეგ შეეხო ეკონომიურად- ჩვენს დამახასიერებელ მიზეზებს და აღნიშნა, რომ მოსალოდნელ ეკო- ნომიურ კატასტროფისაგან გვიხსნის შემოსავალ-გასავლის პროცესის დაცვა, შრომის ნაყოფიერება და მთლიან ეკონომიური პოლიტიკის წარმოებათ. მან ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ შრომის განაყოფიერე- ბა ისევ მუშების ხელშია, ამისათვის მათ ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ, რომ შრომა განაყოფიერდეს. შრომის განაყოფიერება უნდა იყოს უახლოესი მიზანი ეკონომიური პოლიტიკისა, შრომის განაყო- ფიერება გამოიწვევს ექსპორტის გაძლიერებას, რასაც მოჰყვება ჩვენი ფულის კურსის გადიდება. გარდა ამისა მომხსენებელი შეეხო სახელ- მწიფოს გასავალს და სთქვა, რომ ის არ უნდა წარბობდეს სახელმწი- ფოს შემოსავალს, თორემ სახელმწიფო მუდამ ვალში იქნება; შემო- სავალ-გასავლის სწორ სწონბის დაცვა უნდა იყოს ჩვენი ბრძოლის საგანი ეკონომიურ პოლიტიკაში. ხარჯებას შესამცირებლათ მომხსე-

ნებელმა საჭიროდ აუიარა აგრეთვე შტატების შემცირება მინიმუმამდე; ჩვენის აზრით რაოდენიმე პირის სამსახურიდან დათხოვნა დიდ მაღამოს ვერ დასდებს ჩვენს ეკონომიურ წყლულებს; გარდა იმისა, რომ გაგვიმრავლებს უკმაყოფილო ელემენტებს და ეს საშუალება ჩვენ არც მიგვაჩნია რადიკალურად, მაგრამ ამის შესახებ გამოიცა მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება და ის მაინც უნდა შესრულებულიყო შესაძლებლობის ფარგლებში, ამას მოითხოვდა მთავრობის პრესტიუსის დაცვა და მისდამი პატივისცემა. მაგრამ აგერ თვეზე მეტი გადის და რამდენათაც ვიცით ჯერ შტატების შემოკლება არც კი უფიქრიათ. ეს საერთოდ ჩვენი სახელმწიფოს თანდაყოლილი სენია, — კანონს თუ ბრძანებებს ვცემთ, მაგრამ იმას კი არ უკეთებთ კონტროლს. თუ რამდენათ გატარდა ის ცხოვრებაში; ამ მოვლენას დღეს იმდენათ მიეჩია ჩვენი პსიქოლოგია, რომ ის ჩვეულებრივად მიგვაჩნია. ეს უკუღმართობაა და მას დროზე უნდა მიექცეს ყურადღება.

აგრეთვე მეცნიერული სოციალიზმის საუკათხესო წარმომადგენ ელმა კ. კაუციმ დამსწრეთა თხოვნით გამოსთქვა თავისი აზრი ჩვენი დღევანდები ეკონომიურ მდგრადების შესახებ; მან დაახლოვებით შემდეგი სთქვა: „შრომა არის ნაყოფი კოველივე ნაწარმოებისა“; მაგრამ დელს ყოველივე ნაყოფიერება დაეცა. ბურჟუაზია ამ მოვლენას წინად მაინც რვა საათის სამუშაო დღეს აბრალებდა; მაგრამ რვა საათის სამუშაო დღემ შრომა უფრო გაანაყოფიერა. ნაყოფიერების დაცემა გამოიწვია მსოფლიო ომია, რასაც თან მოყვა აგრედვე მუშა ხელის ფიზიკურად განადგურებაც. ზოგის აზრით, რაც უფრო ნაკლები იქნება შრომის ნაყოფიერება მით უფრო მაღე მოისპობა კაპიტალიო, მაგრამ, ეს ყალბი შეხედულობაა. პირიქით უფრო იზრდება კაპიტალი სპეციალიაციის სახით; ასეთ პირობებში წარმოება მცირდება, რაც უფრო ამწვავებს ეკონომიურ კრიზისს. დღეს ჩვენ ვხედავთ მთელ რიგს პარაზიტებისას, რომლებიც არამც თუ ქმნიან, სპობენ და ანადგურებენ შექმნილ სიმდიდრეს. ეკონომიური კრიზისის თავიუან ასაცილებლად საჭიროა შრომის განაყოფიერება, სავალდებულო შრომის შემოღება, რისთვისაც საჭიროა საწარმოო საშუალებანი. წარმოებაში უნდა ჩაბანდებული იქნას ახალ-ახალი კაპიტალი. ფინანსურ მდგრადერების განსამტკიცებლად საჭიროა თქვენი საქონლის უცხოეთში უხვად გატანა. რამდენადაც მე დავრწმუნდი გაზიდულ საქონლის რაოდენობა თითქმის უახლოვდება შემოზიდულ საქონლის რიცხვს. საჭიროა კიდევ უფრო განავითაროთ

მარგანეცის და ნახშირის წარმოება. თქვენში შესაძლებელია კიდევ ავეჯულობისა და ქაღალდის ქარხნის წარმოება. საჭიროა აგრეთვე მოწესრიგდეს ფულის გამოცემის სისტემა. ქაღალდის ფულის სიმრავლეც არის საჭიროის გაძირების მიზეზი. უნდა მოსპოთ ფულის მონაბოლია. სახელმწიფო გასავალმა მის შემოსავალს არ უნდა გადააჭარბოს. დეფიციტის დასაურავად საჭიროა გადასახადების გადიდება და გასავლის შემცირება; გადასახადის გადიდება უბირველესად ყოვლისა თქვენს გლეხობას შეეხება; ეს შეიძლება სხვაგან სახითათო იყოს, მაგრამ თქვენი გლეხობა შეგნებულია და თუ ის დარწმუნდება, რომ გადასახადი შისმავე კეთილდღეობას მოხმარდება, ის ადვილად შეურიგდება გადასახადების მომატებას. საჭიროა აგრეთვე იძულებითი სესხსაც მიმართოთ; პოლიტიკურად ეს როგორ იმოქმედებს არ ვიცი სავსებით, რადგან ჯერ კიდევ კარგად არ ვიცნობ თქვენს მდგომარეობას.

ზემოდ დასახელებული საშუალებანი ასე უცბათ მაინც სავსებით ვერ ვიხსნით ეკონომიურ გაჭირვებისაგან, საჭიროა უცხოეთის დახმარება.

ჩვენ ვფიქრობთ რომ კ. კაუცკის აზრი გაზიადებულია ჩვენ. გლეხებზე. გლეხს სიტყვა „გადასახადი“ სძულს; როგორც უკანასკნელმა მომხსენებელმაც აღნიშნა მასში ფეხი მოიდგა ისეთმა პსიქოლოგიამ ვითომ მათ ყველაფერი მუქთად უნდა გაუკეთდეს, ყველაფერი. ტყვილა უნდა მიეცეს; ამაში ჩვენც მიგვიძლვის ბრალი.... „თქვენში შესაძლებელია ავეჯეულობისა და ქაღალდის ქარხნის წარმოებათ“ ბრძანებს პატივცემული კ. კაუცკი. აი, აი, რომ ჩვენში ბევრი რამ არის შესაძლებელი დღევანდელი ეკონომიურ სიმძიმის შესამსუბუქებლად, მაგრამ ჩვენი უბედურობა სწორედ იმაშია, რომ ვერ ვახერხებთ სარგებლიან საწარმოო საქმის დაწყებას, ვერ ვიჩენთ საამისო ცოდნას და ენერგიას.

კ. კაუცკის შემდეგ მოხსენებას აკეთებს მიწათ-მოქმედების მინისტრი ნ. ხომერიკი. ის უფრო კონკრეტულად მიუთითოდებს ზოგიერთ პრაქტიკულ საშუალებებზე ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, და ამბობს:

ერთად-ერთი საზომი რაოდენობისა, ეს ჩვენი, გაჭირვება იყო. რაც უფრო მეტი ფული იბეჭდება, იმდენად ძლიერდება ფულის საჭირობის მოთხოვნილება; თუ ესე გაგრძელდა, სტერლინგი უფრო გაძირდება, რაც გამოიწვევს ჩვენ ეკონომიურ მდგომარეობის გაუარესებას. ამ სენს წამალი უნდა დაედოს. საერთო მიზეზების დასახელება ვერ გვი-

შველია. უსათუოდ უნდა გადაკლახოთ დაბრკოლებანი და დაკიცვათ ბიუჯეტის წონასწარობა, ამრსათვის საჭიროა შტატების შემცირება, შემოსავლის გადიდება და მრეწველობის განვითარება. ჩვენში არის ზოგი ისეთი დაწესებულებანი, რომლებიც დიდ საჭიროებას არ წარმოადგენენ სახელმწიფოსათვის, ისინი უსათუოდ უნდა მოვსპოთ. გადასახადები უნდა გავადიდოთ სხვა და სხვა სახით. დღეს კლები საუენ შეშაში იხდის 25 მანეთს, მაშინ, რაცა იმდენივე შეშაში წინად იხდიდა. 5—12 მანეთამდე, დღევანდელი კურსის მიხედვით დღეს ეს თანხა რამდენიმე ათას მანეთს უდრის. დღეს ჩვენ ხალხში გამეფებულია ისეთი ფსიქოლოგია, ვითომ მათ ყველაფერი მუქთად უნდა მიეცის და გაუკეთდეს, საჭიროა ამ ფსიქოლოგიის წინააღმდეგ სასტიკი პრძოლავაწარმოოთ. გარდა ამისა ბურუუზია, რომლის ხელში დღეს შილიარდები ტრიალებს თითქმის სარულიად თავისუფალია სახელმწიფო გადასახადისაგან, ფული უნდა მოვაგროვოთ და დავაბანდოთ საწარმოო საქმეში; ეს უფრო სარგებლობას მისცემს იმ ხალხს, ვისაც დღეს ბალიშები აქვს სავსე ბონებით. გადასახადების გადიდება და შემოსავლის წყაროს აღმოჩენა სავსებით ვერ გვიმსუბუქებს მდკობარეობას. თუ უაგვაზირდება მივმართოთ შინაურ სესხს, რასაც ჩვენი ხალხი არ არის მიჩვეული, მაგრამ იძულებითი სესხი უნდა შემოვილოთ, რის შემდეგ ჩვენ. შეგვეძლება დავფრონთ ჩენი ხარჯები. თუ ეს საშუალებანი არ გვეყოფა მაინც ხარჯების დასაფარვად, უკიდურეს შემთხვევაში უნდა მივმართოთ ბონების ბეჭდის. თუ ბიუჯეტის წონასწორობის დაცვა ვერ შევძლით ისე ჩვენ ცხოვრებას ვერ გავაიაფხვდეთ.

ფინანსიური სათავე წარმოებაშია, რაც ჩვენში არ არის განვითარებული, ჩვენი ჭასოფლო მეურნეობაც ჩამორჩენილია, მაგრამ მრეწველობის განსავითარებლად ჩვენ საუკეთესო პერსპექტივები გვაქვს ჩვენი ნედლი, მასალის წყალობით. მართალია, ჩვენი ერობები ხსნიან სამრეწველო დაწესებულებებს, მაგრამ არ ითვალისწინებენ წარმოების წინასწარ პირობებს, ამის გამო ისინი მოგების მაგიერ ხშირად ზარალს ნახულობენ. ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად საჭიროა, რომ უმაღლეს ეკონომიკურმა საბჭომ გაუწიოს ხელმძღვანელობა საწარმოო საქმეს, თორემ უსისტემოდ დაწესებული საქმე, ზიანს მიაყენებს ჩვენს ეკონომიკურ მდგომარეობას, უნდა დავიცვათ წარმოების საქმეში პრინციპი ცენტრალიზაციის, საჭიროა ერთგვარი კონტროლის დაწესება. უნდა მოვსპოთ ფუფუნების საგნების შეორენა, რომლის წაცვლად ჩვენგან

მიაქვთ ისეთი საქონელი, რომელიც უკროპაში თქროს ფასად ლირს; ფუფუნების საგნების ნაცვლად უცხოეთიდან საწარმოო იარაღები უნდა შემოვიტანოთ; ჩვენი რესურსები უნდა მოხმარდეს საჭირო იარაღების შემოტანას.

დასახელებულ ზომების გარდა, საჭიროა საკუთარი ფულის სისტემის შექმნაც. უნდა მოვსპოთ ჩვენში არსებული რუსეთის სხვა და სხვა კანტორები, რომლებიც დღეს ბუდეა სპეცულიაციისა, აწარმოებენ ბნელოპერაციებს. დღეს სპეცულიაცია ვითარდება არა მარტო საჭირო საგნებზე, არამედ უცხოელ ფულზედაც, ამისათვის საჭიროა სახელმწიფო ბანკმა იკისროს სავალიუტო ოპერაციის წარმოება. რესპუბლიკის საზღვრებში ყიდვა გაყიდვა უნდა ხდებოდეს ჩვენი ფულით, უცხოელებსაც ანგარიშის გასწორება ჩვენი ფულით უნდა მოვთხოვოთ, ამ შემთხვევაში უცხო ვალიუტას გვერდი უნდა აუაროთ. საჭიროა აგრეთვ შევქმნათ საგარეო ვაჭრობის ბალანსი; საგარეო ვაჭრობა დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენს გავიტანოთ ან შემოვიტანოთ უცხოელ საქონელს. დღეს ჩვენთვის უდიდესი საექსპორტო საგანი, ეს მარგანეცია, რომლის წესიერად გამოყენებით ჩვენ დავიპყრობთ ბაზარს, ამისათვის საჭიროა უცხოეთის აგენტურის გაძლიერება,

ახალი ფაბრიკა — ქარხნების დაარსება დღეს ძნელია. მაგრამ ის მაინც უნდა გამოვიყენოთ ნაყოფიერად, რაც არ მოითხოვს დიდ საწარმოო კულტურას. ასეით მაგალითად პარკი, თამბაქო და სხვა.

თავი უნდა ვირჩინოთ უსათულდ საკუთარი პურით, ეს შესაძლებელიც არის, საჭიროა მოლოდ აგრონომიული დახმარება გაუწიოთ სოფელს. დასასრულ საჭიროა მეტი ხელმოჭერილობა და მომჭირნეობა გამოვიჩინოთ. მიზან შეწონილი, მთლიანი ეკონომიკური პოლიტიკა გვიხსნის ეკონომიკურ გაჭირვებისაგან:

დიაკონზი ორივე მომხსენებლის ერთნაირია. შრომის განაყოფიერება, ხარჯების შემცირება და მრეწველობის განვითარება; მაგრამ მარტო თქმა არ კმარა; საჭიროა ამ ზომების ცხოვრებაში გატარება, მისი განხორციელება. პრაქტიკაში გამოყენება და საგალალო ის არის, რომ ეკონომიკურ დარგში ჩვენ ვერ ვდგამო შესაფერ ეკონომიკურ ნაბიჯებს, სიტყვით კი ყველა ვიბრძვით. ამისათვის საჭიროა საქმიანობა, რომლის ინიციატივა მთავრობამ უნდა იკისროს; მას გვერდში უნდა ამოუდგეს მთელი ბალზი. ყველა ჩვენი ცოცხალი ძალები უნდა ამოძრავდეს ამ მიზნით:

ჩვენში ფუფუნების საგნები მეტი შემოდის, აუცილებელ საჭირო შაგნებზე, მერე და რატომ დროზე არ ავკრძალეთ ამ საგნების უცხო-ეთიდან შემოტანა! ამის უფლება ჰქონდა მთავრობას და ეს არც დიდ შრომასა და ხარჯს მოითხოვდა, საჭე სანამ წახდება. მანამ უნდა მას შეელა; გარდა ამისა გლეხს ვა მანეთს ვახდევინებთ ურემ შეშაში. რა-ტომ არ გავადიდებთ ასეთ გადასახადებს, ხალხში მუქთაობის პსი-ქოლოგიასთან ბრძოლაა საჭირო და არა დათმობა. ან რატომ არ შეგვეძლო ამდენხანს ჩვენ მდიდარი ტყეების ისეთი ექსპლოატაცია მა-ინც, რომ მუშა-მოსამსახურეები ამ ზამთარში უშეშოთ არ შეგვეწუ-ხებია მაინც?!

ერობებს და თემებს უკიუინებენ: საკუთარ ეკონომიურ პოლი-ტიკას აწარმოებენ და ხშირად უსისტემო დაწესებულ საწარმოო საჭ-მეში ზარალის მეტს ვერას ნახულობენო. მართალია, ეს, მაგრამ რა კნან ერობებმა, ისინი საკუთარი ძალით ასკდებიან აქეთ-იქით თავიანთ ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ჯერ უნდა შევიმუ-შაოთ მტკიცე მთლიანი ეკონომიური პოლიტიკა და შემდეგ უნდა მო-ვითხოვთ მისი საყოველთაოდ აღიარება და ცხოვრებაში გატარება. ერობებს ამ შემთხვევაში, რასაკირველია მთავრობამ უნდა გაუწიოს შესაფერი დახმარება და ხელმძღვანელობა.

ჩვენ მაინც იმედს არ ვკარგავთ, ჩადენილი შეცლობა ამ მწარე გაკვეთილების შემდეგ მაინც იქნება გამოსწორებული, დასახელებულ საშუალებათა განსახორციელებლად ყოველ-ღონის ძიებას იხმარს მთავრო-ბა, ამ შემთხვევაში მასთან იქნება რესპუბლიკის ყველა ერობა და სხვა მოქმედი ორგანიზაციები.

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათის ანგარიშის მიღებულ რეზო-ლიუ კიას შემდეგ ნომერში მოვათავსებთ

განმანი.



დ ა რ ი პ ე გ ა

ცხენების მოვლა-პატრიონობის შესახებ.

ა) ცხენის გაწმენდა გასუფთავება.

ცხენის გაწმენდა—გასასუფთავებლად საჭიროა: საურველი, შჩოტკი და მაუდის ნაჭერი, ჩლიქის გასაწმენდათ კი—რკინის კავი, ან ხის დანა.

გაწმენდა-გასუფთავების დროს ცხენი დაბმული უნდა იყოს მოკლე აგშარით; ცხენის გაწმენდა-გასუფთავება უნდა იწყებოდეს კისრის მარცხენა შჩრიდან ჯერ საურველით, შემდეგ შჩოტკით; ტალახში ამოსვრილი ან ოფლში გაწურული ცხენი უნდა გაიწმინდოს ნამჯის კონით, შემდეგ კი—საურველით მთელი ცხენის სხეული, გარდა თავისა და ფეხების ძირის ნაწილებისა, ვინაიდგან ამ ნაწილებს საურველი ტკივილს და ზიანს აყენებს. შჩოტკით გაწმენდის შემდეგ, ცხენის მთელი სხეული უნდა გაიწმინდოს სველი მაუდის ნაჭრით; ამავე საშუალებით ცხენს უნდა გაეწმინდოს ნაშენობა და უკანა ტანი; ფეხები უნდა გაეწმინდოს ნამჯის კონით და შემდეგ—მაუდის ნაჭრით.

ცხენის თვალები, ნესტოები და ფეხები ცივი წყლით უნდა ჩამოერეცხოს და შემდეგ ამისა შეემშრალოს მაუდის ნაჭრით—ან უბრალო ტილოთი.

ქეჩო, ფაფარი და კუკი უნდა გაიწმინდოს მარტო შჩოტკით. ცხენის კუდი, ქეჩო და ფაფარი, ყოველ ორი კვირის შემდეგ, უნდა დაიბანოს ნელ-თბილი წყლით.

როდესაც ცხენი იწმინდება, საჭიროა, დაკვირვებით გასუფთავება ჩლიქისა.

როდესაც ცხენის გაწმენდა-გასუფთავება გათავისულია, მაშინ მას უნდა გადასახური გადაეფინოს და თავი ბაგაზე აუკრას.

თუ რომ ამინდი ნებას გვაძლევს მაშინ ცხენი ჯარეთ უნდა გაიწმინდოს, როდესაც ცხენი სკამს ქერს ან შვრიას, მაშინ მისი გაწმენდა არ შეიძლება.

არასოდეს ცხენს კუდი არ უნდა მოაჭრათ, ვინაიდან იგი შეადგენს მისუთვის ერთად-ერთ მოსაგერებელ ფარ-ხმალს ყოველივე მავნე მწერისაგან (ბუზი, კოლო, მუმლი, კრაზანა და სხვა).

როდესაც ცხენი მუშაობიდან ან მოგზაურობიდან ბრუნდება და საჯინიბოში შეჰყავთ, მაშინ საჯინიბოს ფანჯრები და კარებები უნდა დაიხუროს, უნავირის მოხსნის შემდეგ, ცხენის სხეულის ყველა ნაწილები, უნდა გაემშრალოს ნამჯის კონით ან მაუდის ნაჭრით; თვალები და ნესტოები უნდა გაეწმინდოს სველი ტილოთი; ცხენის საფუძვლიანი გაწმენდა-გასუფთავება ხდება მაშინ, როდესაც იგი სულ მთლამ გაშოება ოფლისავან და დამშვიდება ესე იგი ერთა საათის შემდეგ საჯინიბოში შეყვანიდამ.

გაზაფხულზე, როდესაც ცხენი ბალანს იცვლის, გაწმენდა-გასუთთავება-უნდა ხდებოდეს დიდის მუყაითობით, რომ ძველი ბალანი მაღე და აღვალად გასკვივდეს; მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ძალად ამოგლეჯა ბალნისა. დიდ ზიანს მოუტანს ცხენს.

ტალახში ამოსვრილი ცხენის დაბანვა ზამთარში, ან ცივ, ამინდში არ შეიძლება


ბ) საჭმლის მიცემის წესი.

ცხენს, თუ განსაკუთრებულად არა, მომეტებულ ნაწილად მაინც, საჭმელად აძლევენ—თივას, ქერს, შვრიას და სიმინდს; ფეხ-ქვეშ კი უშლიან ნამჯას. ზამთარში და შემოდგომაზე ყველა ცხენს ქერის გადიდებულ ულუფას-უმატებენ, ბზეს ან წვრილად დაჭრილ ნამჯას, რომლის სიგრე არ უნდა აღემატებოდეს 1 დიუმის.

ქერი ან შვრია უნდა მაეცეს დღეში სამჯერ: დილით, შუადლისას და სალამოთი; გამგზავრების წინ ქერი უნდა მიეცეს იმ ანგარიშით, რომ მის შეჭმის, შემდეგ გავიდეს ერთი საათი მაინც; ქერი უნდა ეძლეოდეს ცხენს გადადებულ ერთი საზომით ან და წონით; ყველაზე უმჯობესია ქერი ეძლეოდეს ცხენს თოფრაში. იმ ცხენებს, რომელიც ყოველ დღე განუწყვეტლივ მუშაობენ მჩიმე სამუშაოი, უნდა ეძლეოდეს დღეში 20 გირვანქა ქერი, თივა კი—რამდენიც უნდა; მსუბუქ მუშაობის დროს კი 12—15 გირვანქამდე ქერი; თივა რომ არ გააფუქოს ცხენმა—საჭიროა იგი მიეცეს ცხენს დღეში რამდენჯერმე, პატარ-პატარა ილლიებით, წონით ზედმიწევნით, 2—4 გირვანქამდე თითო ილლია; სასარგებლოა ამ რიგათ თივა ეძლეოდეს ცხენს ქერის თვითეულ ჯერის მიცემის განმავლობაში;

ცხენის საზრდოება ახალი ნედლი ბალანით სასარგებლოთ არის ცნობილი, ნამეტნავად იმ ცხენებისათვის, რომლებმაც გადაიტანეს ესა თუ ის სასტიკი-ავადმყოფობა; ასეთი საზრდოება ნამეტურად სასარგებლოა ძლიერ გამხდარ და უძალო ცხენებისთვის, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნედლი, ახალი ბალაზი, მაშინ არის სასარგებლო, როდესაც თვით ბალაზი მოითიბება ყვავილობის ხანაში; ამასთანავე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი ნედლი ბალაზით საზრდოობა არ უნდა, გრძელდებოდეს ორ კვირაზე მეტი, რომ ცხენი არ დასუსტდეს.

ვეტერ. ექიმი გრ. შამაზთავრიშვილი.



ქ რ ნ ი ც პ .

მ თ ა ვ რ მ გ ა უ მ

მომარაგების ხაქმა.

1. ნებადართულ იქნას ოესპუბლიკის საზღვრებში პირადი საჭიროებისათვის ხუთი ფუთი ქერისა და ხორბლის გატანა იმ პირისთვის, რომელსაც სურს თავის მაზრიდან ხორბლის გამოტანა: ნებართვა უნდა აიღოს ერობიდან. ვისაც თავის ხორბალი არა აქვს, თუ სათანადო მოწმობა ექნება თავისუფლად შეუძლია მაზრის სადგურებზე იყიდოს ხორბალი. 2. ვინც ამ წესებს არ შეასრულებს და ისე მოინდომებს ხორბლის გამოტანას მას ხორბალი ჩამოერთმევა და თვით პასუხისვებაში მიეცება. ეს დადგენილება უნდა ეცნობოს ყველა ერობებს.

ზ ი ნ ა ნ ს თ ა ს ა მ ი ნ ი ს ტ რ მ უ მ

გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი კ ო მ ი ს ი ა .

ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გასცა განკარგულება რათა დაარსდეს განსაკუთრებული კომისია სამრეწველო და შემოსავლის კვალობაზე გადასახადის პროექტის განსახილველად. ასეთი გადასახადი ეხლა იკრიბება ძველი კანონის მიხედვით და ეს დღევანდელ პირობებში შეუფერებელია. დეკრეტის პროექტით ის ორი გადასახადი გაერთიანდება ერთ პროგრესიულ შემოსავალ კვალობის გადასახადათ. შემდეგ საფუძლებზე: პროგრესიული გადასახადი დაედგა: 1. ყველა მოქალაქეს, რომელიც კხოვრობს საქართველოს ტურისტობიაზე და აქვს საკუთარი შემოსავალი მიუხედავათ რაოდენობისა. 2. საქართველოში არსებული ყველა საგაჭრო, სამრეწველო, საკრედიტო, სატრანსპორტო და სხვა საზოგადოებათ, რომელთაც კომერციული მიზნები აქვთ გადასახადის რაოდენობა პირველ ჯგუფს გადამხდელისთვის დამოკიდებული იქნება შემოსავლის კვალობაზე და იმაზედაც თუ როგორი გზით დებულობს

ის შემოსავალს. მეორე ჯგუფს კი გადასახადი საერთო სატრიალებელ თანხის და მისგან ნახულ მოგების მიხედვით დაედება. გადასახადის გადახდის გასაადვილებლად გადასახადი დანაწილდება მცირე ნაწილებათ. გადასახადის შეტანა შეიძლება ყოველ დღიურად, ყოველ კვირეულად და ყოველ თვიურად. გადასახადის გადახდა შეიძლება მარკებით, ჩეკებით და სხვა. გადასახადი სისტემის ასეთი რეკონსტრუქციის შემდეგ მოსალოდნელია გადასახადიდან შემოსავლის მეტად გადიდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროში

რესპუბლიკის ყველა სამაზრო ერობების გამგეობებს, ქ. ტფილის მილიციის უფროსს და აფხაზეთის კომისარიატს.

სამხედრო მიმღებ კომისიების წევრების დღიურათ დაკმაყოფილების საკითხის გადასაჭრელად შინაგან საქმეთა სამინისტროში შემდგარ კომისიის მიერ იყო გათვალისწინებული შემდეგი: 1) საჭიროდ უნდა იყოს ცნობილი დღიურად დაკმაყოფილება მიმღებ კომისიის თავმჯდომარის, ყველა წევრების, ექიმების და ერობათა გამგეობის საქმის მწარმოებლის, გარდა სამხედრო უწყების პირთა და სამხედრო ექიმებისა. 2) დაკმაყოფილებულ უნდა იყვნენ დღიურად მხოლოდ ის წევრები, რომელნიც მონაწილეობენ დიდ კომისიებში და იმ მცირე კომისიებში, რომელნიც არის მოხსენებული სამხედრო სამინისტროს № 31 დასტურლამის მე-3-ე მუხლის მე-3-ე განყოფილებაში. 3) ყველა აღნიშნულ პირთათვის დღიური ფული გაცემულ უნდა იყოს მობილიზაციის დროს იმ თანხებიდან, რომელთაც ერობები იღებენ სამხედრო საჭიროებისათვის. გატყობინებთ რა ამას გთხოვთ გვაცნობოთ, მოგეპოებათ თუ არა ზემოხსენებულ კრედიტიდან თვისუფალი თანხა. დადებითი შემთხვევაში რამდენი დასჭირდება ყველა წევრებს დასაკმაყოფილებლად, თუ მივიღეთ 300 მან. დღიურ ჯილდოთ.

• შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ჭიჭინაძე.

ეროვნული ცხოვრება

ერობათა კავშირის კომიტეტში.

მიმღინარე წლის პირველ ოქტომბერს შესდგა ერობათა კავშირის კომიტეტის პლენურის სხდომა. სხდომას დაესწრენ: კომიტეტის თავმ

ჯდომარე პ. ჭიჭინაძე, წევრები კომიტეტისა: გრ. სოფორაშვილი; გ. ცეკვაშვილი, ი. სტურუა, სიონ ჭანტურიშვილი, ვ. ქავთარაძე, ვ. ცა-ბაძე, დ. ონიაშვილი და სარევიზო კომისიის წევრი გ. მაღნარაძე. სხ-დომას აგრეთვე დაესწრენ მოწვევული დამფუძნებელი კრების წევრები: ს. მდიგარი, გრ. ურატაძე, ვ. საყვარელიძე და კ. ნინიძე. სტატისტი-კური განყოფილების გამგე ს. კონი და მ. სმირნოვი.

პირველ სხუომაზე მოხსენება გააკეთა იმ კომისიამ, რომელსაც და ვალებული პქონდა ერობათა ადგილობრივი მუშაობის გაცნობა. მო-ხსენებიდან გამოირკვა, რომ კომისიას ჩამოუვლია ყველა ერობები და გასცნობია მათ მუშაობას. დარჩენილა მხოლოდ აფხაზეთის ერობე-ბი და ბორჩალოს მაზრის ერობა. მოხსენებისა და აზრთა გაცვლა-გამო-ცვლის შემდეგ კომიტეტმა გამოსთვა სურვილი, რათა მთელი ეს მასა-ლა დამუშავებულ და ცალკე წიგნაკათ გამოცემულ იქნას, რაც მიე-ნდო მ. სმირნოვს.

შემდეგ ამ მოხსენებისა სხდომა შეუდგა იმ სათემო კანონ-პროე-ქტის განხილვას, რომელიც ჩვენი უურნალის მეოთხე ნომერში იყო მოთავსებული. მსჯელობის შემდეგ გამოირკვა და კომიტეტმა გადას-წყვიტა: რომ უფრო მთლიანი და მისაღები გახდეს სათემო კანონ-პრო-ექტი, აუცილებლათ საჭიროა დამუშავებულ იქნას საერთოდ დებულე-ბანი ერობის შესახებ (სამაზრო ერობის კანონ-პროექტი) რის დამუშა-ვებაც მიენდო მ. სმირნოვს. როცა ეს კანონ-პროექტი დამუშავდება, იგი წარედგინება ერობათა ყრილობას დასამტკიცებლათ, რის შემდეგ გადაეცემა დამფუძნებელ კრებას.

სხდომამ იქნია მსჯელობა საბავშო, სახალხო, სასწავლო და სხვა წიგნების გამოცემის შესახებ. კომიტეტმა აღიარა აუცილებელი საჭი-როება წიგნების გამომცემლობისა, რისთვისაც აირჩია კომისია დეტა-ლურათ ამ კითხვის გამოსა-კვევათ. კომიტეტი სიამოვნებით იღებს ნა-კადულის რედაქციის მომართვას, ამ გამოცემის ეროვნაშირის მიერ გა-გძელების შესახებ, რასაც კომიტეტი იმედოვნებს განახოციელოს მო-მავალ წლის იანვრიდან.

კითხვა ერობათა ყრილობის მოწვევის შესახებ ღიათ იქნა დატო-ვებული.

ტფილისის სამაზრო ერობაში.

ტფილისის მაზრის ერობა უკვე შეუდგა ხმოსანთა ყრილობის დავალე-ბის აღსრულებას დილმის არხის შესახებ. ვ აქტომჩერს დილმიში გა-

უმგზავრა კომისია, რომელშიც შედიოდენ ინჟინერები პ. პ. პ. მავრაძე, იოს. ვაწაძე, არჩ. ბილანიშვილი და ხმ. კირ. ჭუმნია და ლებანიძე. არხის მიმართულების და სათავის გამოსაკვლევად.

კომისიის დასკვნით არხის სათავე დაიწყება წიწამურიდან (შცემთის ზევიდან), და სივრცე მინდვრისა, რომელიც მოირწყვის ამ არხით მტკვრის გაღმოლმა, დიღმისა და ქალაქის მიღამოებში დახლოვებით ოქნება 20000 დრენაჟინამდე.

საქმე დიადია და მოითხოვს დიდ ხარჯებსაც. ხარჯებს გაიღებენ უმთავრესად დიღმის საზოგადოება და მაზრის ერობა, მაგრამ ამ საქმეში კომისიის აზრით დაინტერესებული უნდა იყვეს აგრეთვე ქალაქიც. რომელიც ბოსტნეულობის დიდ ნაწილს ღებულობს დიღმიდან და შემდეგ მიღებულია სათვალავში აგრევე მთავრობის დახმარებაც. დროებით რწმუნებულათ ამ არხის გაყვანის საქმეთა წარმოებისათვის ერობას მოწვეული ჰყავს ხმ. ბ-ნი ჭუმნია.

სილნალის სამაზრო ერობაში.

სილნალის სამაზრო ერობამ შემდეგი წერილით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს: საერობა გამგეობის სტატისტიკურ ცნობებიდან დაინახავთ თუ რა უბედურება დატყვდა თავს დაწყებული მიმდინარე წლის 29 მაისიდან აქანობამდე, სტატიკურ მოვლენის გამო, სელნალის მაზრის მცხოვრებთ. არ დარჩა ისეთი თემი, რომელსაც არ დასტეხოდეს თავს ეს უბედურება. საშინელმა და განუწყვეტელმა სეტყვამ და ნიაღვრებმა მთლად წალეკა სამაგალითო (თითქმის წინაპართ არ ახსოვთ ასეთი უბედურება) მინდვრის მოსავალი: ვენახები, ბაღები, და სხვა. იყო შემთხვევები ზოგიერთ თემში ორ-სამ სართულიანი სახლის წალებისა, იყო აგრეთვე ადამიანთა და საქონელთა მსხვერპლიც, როგორც მაგალითად ბოდბისხვის სათემოში, რის მოწმენიც იყვნენ თვით სამაზრო ერობის გამგეობის წევრნიც იმ ნიაღვრის დროს იქ და იღებდნენ ზომებს, რომ არ ყოფილიყო უფრო მეტი შემთხვევა ადამიანთა მსხვერპლისა და ანუგეშებდნენ ხალხს. ეს უბედურება რომ დაატყდა თავს მაზრას, სამაზრო ერობამ დეპეშით გაუწყათ თქვენ და დაწვრილებით ზარალის გამოსაკვლევათ დაგზავნა თავის მომუშავე ძალები და აგრეთვე გამოითხოვა ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტიდან სპეციალისტები, რომელნიც თავის დროზედ გვეწვივნენ მაზრაში და შეუდგნენ მუშაობას. ზარალის გამოსარკვევად მაზრაში მუშა-

ობდა 10-მდე კაცი (შათში 7 ცენტრალურ კომიტეტიდან), რომელნიც მოუნდნენ ამ საქმეს თითქვის ერთ თვეს, რის შემდეგაც გამოირკვა, რომ ზარალი უდრის შვიდას ოთხმოცდაცამეტ მილიონს ორას ოცდაშვიდათას მანეთს 793,227,000 მან. აქედან სჩანს, რომ სიღნალის მაზრის მდგომარეობა ყოველ მხრივ უნუგეშოა და რომ ყოველივე მოქალაქის გულდაწყვეტილი მდგომარეობა ცოტად მაინც უნდა გაუმჯობესდეს და მშიერ-შეყურვალე არ დავტოვოთ, თუ ბევრათ არა ცოტად მაინც საჭიროა დახმარება.

ცხადია, რომ მისდა დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო არ ექმნება საშუალება საფსებით ამ ზარალის ანაზღაურებისა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში საჭიროა ისეთი საიმედო დახმარების აღმოჩენა, რომ სამაზრო ერობას პქონდეს საშუალება გაუწოდოს ხელი რმ თემებს და პირთ, რომლებიც ამ უბედურებით გასწორდნენ დედამიწასთან.

მოგახსენებთ რა ზემოაღნიშნულს მდგომარეობას, სამაზრო ერობის გამგეობა გთხოვთ აღძრაი, შუამდგომლობა სადაც ჯერარს რათა მიეცეს მას მოხსენების მიხედვით კრედიტი პირველ რიგში არა ნაკლებ ხუთმეტი მილიონი მან. (1500000) დაზარალებულთა დახმარების აღმოსაჩენად.

გარდა ამისა ერობის გამგეობა გამოსთქვამს სრულს იმედს, რომ ამ შუამდგომლობას მიექცევა განსაკუთრებული ყურადღება და უახლოეს ხანაში დაეთმობა საჭირო თანხა, რათა მას პქონდეს საშუალება სრულიად უნუგეშოთ დატოვებულთა ცოტად მაინც არსებულ მდგომარეობის შემსუბუქების და აგრეთვე მოესწროს მოახლოვებულ ახალ სამოსავლო წლისათვის მაინც თავის დროზედ მოხვნა-დათესვისათვის:

გორის სამაზრო ერობაში.

მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგის წინადადების თანახმად, გორის სამაზრო ერობამ დაადგინა ვინაიდან აგრძარული რეფორმის გატარება გორის მაზრაში სასურველად ვერ მიღის, საჭიროა პირდაპირი ჩარევა სამაზრო ერობისა და უახლოესი ხელმძღვანელობა საქმისა. მსჯელობის შემდეგ გამგეობამ შესაძლოთ სცნო, საქმის გამოსასწორებლად, იკისროს აგრძარულ დარგში უახლოესი ხელმძღვანელობა და სათანადო პასუხისმგებლობა, მხოლოდ შემდეგ პირობებში:

1) მიეცეს სამაზრო ერობის გამგეობას სრული ოფიციალური მინდობილობა და უფლება.

2) ადგილობრივი განყოფილება და კომისიები პირდაპირ ემორჩილებოდნენ სამაზრო ერობის გამგებოს. დანიშვნა და დათხოვნა აგრძარულ დარგის ყოველგვარ მოხელეთა სრულიათ მიენდოს ერობის გამგეობას.

3) აგრძარულ დარგის მსახურთა უზრუნველსაყოფა, ერობის მსახურებთან თანასწორათ, გადაეცეს სამაზრო ერობას 40% გასყიდულ საფონდო მიწების დაფასებისა, ან დაედოს ცალკე დაშატებითი ფასი იმავე მიწებს ერობის სასარგებლოდ (40%).

4) სამაზრო ერობის გამგეობის მიერ დადასტურებულ სააღვილ-მამულო აქტებს ეძლეოდეთ მაშინვე სავალდებულო და ასასრულებელ აქტების მნიშვნელობა და ძალა.

5) მიწათ-მოქმედების სამინისტრო აღლევს სამაზრო ერობის გამგეობას საერთო სახელმძღვანელო ლირექტივებს, აგრეთვე ცალკე ასენას სათანადო შემთხვევებში.

6) სამაზრო ერობის გამგეობა წარუდგენს მიწათ-მოქმედების სამინისტროს ყოველწლიურ ანგარიშს თავის მოქმედებისას აგრძარულ დარგში.

7) ყოველგვარი შესაძლო აზრთა სხვა და სხვაობა, აგრძარულ რეკორმის თუ მიწათ-მფლობელობის გამო, სამაზრო ერობისა და მიწათ-მოქმედების სამინისტროს შორის, გაირჩეოდეს საბოლოოთ მთავრობის მიერ, ორთავე მხარის დასწრებით.

ქუთაისის სამაზრო ერობაში.

მიმდინარე წელს საფონდო ადგილებიდან მოსავლის დალის აკრების ორგანიზაციის შესახებ გამგეობამ დაადგინა: 1) მაზრა გაიყოს თემების მიხედვით 44 რაიონად; თვითეულ რაიონში უნდა იქნეს თითო რწმუნებული, რომელთაც ენდობა დალის აღება, 2) გასაშრჯელო რწმუნებულებს მიეცეთ 10% , მათ მიერ მოკრებილი სანოვაგიდან (წატურით). 3) მოსავლის რაოდენობას ირკვევს რწმუნებული შორიჯარა-დორისა და თემის წარმომადგენელთან ერთად, 4) საშუალო ადგილობრივი ფასი ყველა რაიონებისთვის უნდა იქნეს სიმინდზე 500 გ. (1 ფუთი) პურზე და ღომზე 50% მეტი; 5) დალის აკრების საჭმის მთელ მუ-

შაობას აწარმოებს ერობის გამგეობა, ხოლო ანგარიშის წარმოება ევალება ფონდის გამგეს. 6) აღიძრას შუამდგომლობა მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე, რათა უკანასკნელმა დაუთმოს ერობას აკრებილი სიმინდი და პური შემდეგ ფასებში: სიმინდი 1 ფ. 500 მანეთად და პური 750 მან., რომლის შესასყიდი ფალი ჩაბარებისთანავე შეტანილი იქნება ხაზინაში.

წლიური გადასახადი სწავლის ფასად, გამგეობის დაგენილებით, რჩება იგივე, რაც გასულ წელს, ე. ი. 500 მან. სავსებით უნდა განთავისუფლებულ იქნას სწავლის ფასიდან მოწაფეთა 10%, თითო სასწავლებელში.

თანახმად დამფუძნებელ კრების კანონით და ჯანმრთელობის დეპარტამენტის ერობის სახელზე მომართვისა-ერობის მიერ სამხედრო გოსპიტლის მიღების და მიღებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ქუთაისის გამგეობამ დაადგინა:

1) მიუხედავათ იმისა თუ რამდენ ხანს გაგებელდება მიმღებ კომისიის მიერ გოსპიტლის მიღება-უკანასკნელი გადმოვა ერობის ხელში. ა. წ. 1 ოქტომბრიდან მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით და კრედიტებით. უკანასკნელის გახსნის შესახებ სასწრაფოთ იქნას აღძრული შედეგობა.

2) გოსპიტალი, როგორც ასეთი უნდა გადახალისაეს; დარჩება ერობის ერთი განცოდილება საექიმო-სასანიტარო და სწორედ ამ განცოდილებაში შევა ეხლანდელი გოსპიტალიც. ამის მიხედვით შეიძლება საჭირო დარჩეს გოსპიტლის ეხლანდელი თანამშრომლების გადაჯვუფება ან ზოგიერთი შტატების ლიკვიდაცია, ხოლო წინდაწინვე ამ საკითხის კატეგორიულად გადაჭრა გამგეობას ნაადრევათ მიაჩნია.

3) „პაიკები“ გოსპიტლის ეხლანდელ თანამშრომლებს 1 ოქტომბრიდან უნდა შეუწყდეს.

4) ბინების ქირა თანამშრომლებმა უნდა შეიტანონ ერობის სალაროში.

5) განათება ჯერჯერობით დარჩეს ძველი წესით.

6) რაღაც 1 ოქტომბრიდან გოსპიტალი ერობის განკარგულებაში იქნება შეშა მიეცემა მას, როგორც ქუთაისში არსებულ სხვა საერთო დაწესებულებებს საერთო წესით.

7) არსებული სამნეო ეკონომიკური თანხა შეტანილი იქნეს სამაზრო ერობის სალაროში და მომავალში ასეთი თანხების არსებობა შეა-

წყდეს. სამეურნეო კომიტეტის ინსტიტუტი ჯერჯერობით დარჩეს. საკირო საგნებს თუ ნივთებს შეიძენს მთავარი ექიმი ერობის მიერ მიცემულ ავანსებით.

8) გოსპიტალში მყოფი ჯარის კაცები 1 ოქტომბრამდის უნდა დაუბრუნდენ სამხედრო უფროსს; თუ აუცილებელი ინჭება მათ მაგირ მოწვეულ იქნან რამოვენიმე მოსამსახურეები მარცვან კუმისიასთან შეთანხმებით.

9) დღიდან კუმისიის მიერ გოსპიტალის აფთიაქის მიღებისა ერობის სააფთიაქო განკოფილებას შეაქვს ამ აფთიაქში საერობო აფთიაქებში შემოღებული წესები.

10) გოსპიტლის თანამშრომლები ისარგებლებენ საავალმყაფოთი ისე როგორც ერობის სხვა თანამშრომლები-საერთო წესით.

11) გოსპიტალთან არსებულ ეკლესიას სამაზრო ერობის მიმღები კუმისია მიიღებს საერთო წესით.

— შეძენილ იქნას ერობის ბიბლიოთეკისათვის ყოველ გვარი ბეჭვდითი სიტყვის ახალი გამოცემანი.

— გამოყოს ობის თემს სოფლები: როდინოული, ცხენთარო და სვეტ-მარალი, და მათი შემადგენლობით შესდგეს როდინოულის თემი.

— სოფ. ბაში საყულიის ეწერ-ბაში და ფარცხანაყანევის ეწერ-ბაში შევიდეს მთლიანად ბაშ ეწერ-ბაშის თემში.

სწორი და თავის დროზე ნორმალურ მუშაობისათვის ხრესილის და კურსების აბანოები, გარდა ქარქაშაძეების აბანოებისა, გაცემულ იქნან იჯარით რამოვენიმე წლის ვადით მათ წინანდელ პატრონებზე შემდეგი პირობებით:

1) საჭირო შეკეთება აბანოებისა უნდა მოახდინონ მოიჯარადრეებმა ერობის ზედამხედველობით და მითითებით.

2) იჯარის ფასის გამორკვევა მოხდეს ყოველ წლიურათ და ყოველ წლიურათ შეეკრას მათ კუნტრაქტები განახლების უფლებით.

3) იჯარის ფასის ნახევარი დაუბრუნდეს ყოველ წლიურათ მოიჯარადრებს იმ თანამდებობათ, რაც მათ დაეხარჯებათ ამ აბანოების. შეკეთებაში და ამ გვარათ იჯარი დარჩება მათ ხელში სანამ ამ წესით არ იქნება აღდგენილი მათ მიერ შეკეთებაზე დახარჯული თანხა ან და სანამ ერთდროულად არ იქნებიან დაკმაყოფილებული.

თუ სამინისტროსა და მოიჯარადრეთა შორის იჯარის ფასის შე-

სახელმ არ მოხუა შეთანხმება და აბანოები სხვა პირზე გაიცა, იმ შემთხვევაში შეკეთებაში დახარჯულ ფულის ანაზღაურება მოხდება იმ წესითვე რა წესითაც ეს უნდა მომხდარიყო, რომ ეს აბანოები შეკეთებლებს დარჩებოდათ.

რაც შეეხება ქარქაშაძეების ყოფილ აბანოებს, თუ მათი წინააღმდეგი პატრონები მოისურვებენ მის იჯარით აღებას, დაევალოს მათ ეხლავე თავიანთი ხარჯით შეაკეთონ აბანოს შენობა და ვანები. რადგანაც სადგომი სახლები ძალიან დაზიანებულია მიეცეს მათ ნება დაარღვიონ ერთი მათგანი და ერობის ტეხნიკის ზედამხედველობის ქვეშ გააკეთონ ახალი სადგომი. იჯარის ფასიდან მიმდინარე წელს განთავისუფლდენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს აბანოებიც დაიკეტოს.

(ქუთაისის სამაზრო ერობის ყრილობის ოქმიდან)

თემების გამომიჯვნა და ხმოსანთა გამგეობის არჩევნები დაიწყო ვასულ 1919 წლის პრილიტან. თემებში დაახლოვებით ითვლება 280—1778 კომლამდის. მაზრაში დღეს სულ 44 თემია და ყველგან უკვე არჩეულია ხმოსანთა, ყრილობა, ყრილობის მიერ არჩეული სათემო გამგეობა შესდგება: სამი გამგეობის წევრისაგან, მათ რიცხვში თავეჯდომარე და მდივანი ან საქმის მწარმოებელი. ხშირად ერთი რომელიმე გამგეობის წევრი კისრულობს მდრენის მოვალეობას.

ვასული 1919 წ. დამლევანდის თემებს აძლევდა ჯამაგირებს ერთბა, შემდეგ კი დადგინდო იქნა ყოველი ხარჯები ეკისრა თვით თემში, მაგრამ დღემდის თემის თანამშრომლები თითქმის ყველგან სხედან უჯამაგიროდ. ამიტომ ერობამ გადაწყვიტა წელსაც ჯამარება თემებისათვის მას გაეწია და ამ მიზნით ყრილობაში, წინადადებით შევიდა 30% მოელი სამაზრო ერობის გადასახადებისა გაენაწერებია თემებს შორის. ეს თანხა უფროს 3517089 მან. ეს თანხა შხოლოდ ნაწილობრივად დაკმაყოფილებს თემთა მოთხოვნილებას,

რომ ხარჯები თემებში შემცირებულ იქნეს, ამისათვის ჩვენი აზრით საჭიროა მისი გამგეობის შემაღენლობაში ეძლეოდეს განსაზღვრული ჯამაგირი მხოლოდ გამგეობის თავმჯდომარეს და მდივანს, დანარჩენები, თუმ წევრი კი ვალდებული უნდა გახდენ სხვა და სხვა საჭირო საკითხების გარჩევის დროს დაესწრონ.

ეს მოსაზრება მით შეეფერება სინამდვილეს, რომ, თუ არა ძლიერ საშური საქმეები ყველა საკითხებს თემში აყენებს და ადასტურებს თემის საბჭო; მისი სისრულეში მოყვანა კი ერალება გამგებას; განსაკუთრებით თავმჯდომარებს. ხაერთოდ თემების იმ მღვმარეობაში დატოვება როგორმაც ისინი იმყოფებიან დღემდის ყოვლად დაუშვებელია დაუყონებლივ უნდა გარკვეულ იქნას მათი უფლებრივი გდომარეობა.

ქუთაისის სამაზრო ერობამ გასულ წელში ჩაიხარა 158 პირველ დაწყებითი სამინისტრო და სამრევლო სკოლა თავისი ქონებით და 13 უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი. წლის განმავლობაში მაზრის სხვა და სხვა სოფლებში ერობამ გახსნა 37 პარველ დაწყებითი სკოლა და 10 უმაღლ. დაწყებითი. ამ რიგად მთელს მაზრაში ყოველ სოფელში გახსნილია დაწყებითი სკოლა რიცხვით 195 და უმაღლ. დაწყ 23. ან-სებულ სკოლებთან გახსნილია აგრეთვე ახალი კომპლექტები და თანატოლი-პარალელური განყოფილებები; ზოგიერთი სკოლის გამოკლებით (საჭაც მცირე რიცხვთვანი განყოფილებებია) თითო განყოფილებას ამეცულინებდა თითო მანწავლებელი. ყველა დაწყებითი სკოლებში ირიცხებოდა 518 მასწ. და 20600 შეგირდი. ახლად გახსნილ 37 სკოლას მიმდინარე წლის იანვრამდის ინახავდა ერობა და იანვრიდან კი მიიღო სამინისტრომ. 23 უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში ირიცხებოდა 85 მასწ. აქედან 12 სასწავლებელს ეძლეოდა ყოვილ გვარი დამატებები შთავრობ დან და ძირითად ჯამაგირებს კი აძლევდა ერობა. სკოლების სპეციალურ და ერობის საშუალებიდან: ერთს (კულაშის) ინახავს სრულიად ხაზინა. ახლად გახსნილ 10 უმაღლეს დაწყ. სასწავლებელს ინახავდა ერობა ადგილობრივ საშუალებებით. ყველა ამ სასწავლებლებში სწავლობდა 3200 შეგირდი. მთელი მაზრა სამოსწავლო წლის განმავლობაში დაყოფილი იყო 5 სამოსწავლო რაიონად: ქუთაისის, ხონის, ჩალგათის, ტყიბულის და საჩინაოს თითო რაიონს ჰყავდა თავისი ინტერუქტორი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა მასწავლებელებს სწავლა-აღზრდის საქმეში. გასული წლის ზაფხულში ერობამ მოაწყო ქუთაისში სამასწავლებლო კურსები 100 კაცისათვის, რომელზედაც მსმენელებმა შეისწავლეს ხატვა-ხაზვა, ძერწვა, ხელგარჯილობა და სხვა საგნები. სკოლების დიდ უმრავლესობას სჭირია გაფართოვება, შეკეთება და ახალი შენობების აგება. ეს უნდა გაკეთდეს თანდათანობით თემების საშუალებებით და შთავრობის დახმარებით. საჭიროა სასკოლო მებელი; პარტები, მაგიდა, დაფები, და სხვა. შეძენილ იქნას მომავალ

ენკენისთვემდე, რომ არ შეფერხდეს სწავლის ნორმალურად დაწყება. ყოველ სკოლასთან უნდა მოეწყოს შეგირდებისათვის ბიბლიოთეკა სა- ყმაწვილო ეურნალ-წიგნებით და ყოველ თემში რომელიმე სკოლასთან სამასწავლებლო ბიბლიოთეკა პედაგოგიურ ეურნალ-წიგნებით, რომ- ლითაც უნდა ისარგებლონ თემის ყველა მასწავლებლებმა. სწავლა-აღ- ზრდის საქმეში თვალ-საჩინობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამისათვის საჭიროა სკოლებში იქნას შეძენილი სურათები, ქარტები, მოდელები და სხვა თვალსაჩინო საგნები. ეს ყველაფერი თანდათანობით უნდა გაა- კვთოს სამაზრო ერობამ მთავრობის დაბმარებით. ხმოსანთა ყრილობის ჯადგენილების თანახშად მაზრის მასწავლებლებს დამატების სახით ეძ- ლეოდა 400 მანეთი, ეს ნოემბრიდან 1919 წლისა „ეროვავშირის გან- კარგულებით შეჩერებულია.

გურიის სამაზრო ერობა.

გურიისა და სენაკის ერობებს შორის მოხდა შეთანხმება ამ პაზ- რების საზღვარზე მდებარე საფონდო მიწების განაწილების საკითხში. შეთანხმების პირობები ასეთია:

1) გულეიკარ-კეთილარი ანჯელში ოზურგეთის მაზრას თავიანთ მუშა- თათვის კერძო საკუთრებათ გასანაწილებლათ დაეთმოს ის 705 ქცევა- ადგილი, რომელიც 1919 წლის ორი შეთანხმებით მიეცა მას.

შენიშვნა: როცა ეს ადგილები დეტალურად დაიზომება სამიწის- მზომელო იარაღებით, თუ აღმოჩნდება 705 ქცევაზე მეტი, რჩება ოზურგეთის მაზრის სრულ მფლობელობა-განკარგულებაში.

2) სუჯუნის აგარაქში ჟორდანიასეულ მამულებრდან ოზურგეთის მაზრას დაეთმოს მისი რომელი ნახევარი და განაწილების დროს ყველა კატეგორიის მიწები გაიყოს თანაბრად.

3) სირიაჩქონის რაიონში ოზურგეთის მაზრას დაეთმოს კიდევ 347 ქცევა საყანედ გამოსადევი ადგილი.

4) ზემო ჩამოთვლილ ადგილების გარდა, თუ კი აღმოჩნდა, რომ გურული მუშები ამუშავებენ რომელიმე სხვა რაიონში სენაკის მაზრის საფონდო მიწებს ეს მიწები დარჩეს მათსავე მფლობელობაში.

1 შუბ (2) შენიშვნა: ის ადგილები, რომელიც წარმოადგენენ დღეს ბუჩქარს გულიეკარ-კეჭილარ ანჯელში და არის დამუშა- ვებული განაწილდეს ორივე მაზრის მცხოვრებთა შორის არსებული პრაპორციის მიხედვით.

ეს შეთანხმების პირობები მიწათ-მოქმედების სამინისტრომ დამტკიცა და წინადადება მისცა ორთავე ერობებს ფაქტიურათ სისრულეში მოყვანილ ის.

— ერობის გამგეობაშ ქ. ლანჩხუთის გამგეობასთან შეთანხმებით დაარსა ქ. ლანჩხუთში 10 საჭოლიანი საავათმყოფო. საავათმყოფოს ერთს მესამედს იხდის ლანჩხუთის ქალაქის გამგეობა; საავათმყოფოს მოსამსახურითა პერსონალი ინიშნება ერობის გამგეობის მიერ და ირიცხება ერობის შტატში; ერობავე განაგებს საავათმყოფოს ყოველ მხრივ; ქონების ერთი მესამედის ხეპატრონეა ქალაქის გამგეობა.

— ერობის სასკოლო განყოფილება აწარმოებს ენერგიულ მუშაობას სკოლის გარეშე განათლების მოსაწყობათ მაზრაში. ამ მიზნით შეკვერიბა საჭირო სტატუსტრუქტური ცნობები წერა-კითხვის უცოდინარ 13-50 წლამდე მოქალაქეთა. განყოფრლების ცნობით, მას ა. წ. ნოემბერში უკვე ექნება მაზრაში მოწყობრლი პირველ წლაწყებით სასწავლებელთან 100-მდე საღამოს და საკვირაო სკოლები. მაზრაში არსებულ 21 უმაღლ. დაწყ. სასწავლებელთან-კი გადაწყვეტილია მოწყობ სახალხო უნივერსიტეტის მაგვარი კურსები. განყოფილებისავე აზრით, მომავალი წლის მარტში აღარავინ იქნება გურიაში წერა-კითხვის უცოდინარი 50 წლამდე. მალდატანებით ზომები არ არის საჭირო გურიაში, რომ უცოდინარი წერა-კითხვის სასწავლოთ გამოცხადდენ; წინააღმდეგ, ერობის ამ გადაწყვეტილებას სიამოვნებით ეგებებიან მცხოვრებნი.

— ერობის გამგეობაშ ამ დღეებში დამტკიცა სააღგილ-მამულო ფონდის გამგის მიერ წარმოდგენილი უემდეგი პროექტი მიმდინარე წლის დალის აკრების საქმის ორგანიზაციისა: საფონდო მიწის მოიჯარადენი იხდიან 1-ხარისხის ერთ ქცევა მიწაზე დალათ-900 მან. მეორეზე-600 მან. და შესამეზე-300 მან. თემების გამგეობებს ევალებათ გასული წლის მოიჯარადეთა სიების შესწორება სააგრძარიო კომისიებთან ერთად, თვითეულ საფარისო კომისიაში ინიშნება ერთი მეველე 2 თვით. მეველეს მოვალეობას შეადგინს ფულების აკრება. ფონდის გამგესთან დარიგებით (შ-თვით) ინიშნება აგრძელვე ერთი საქმის მწარმოდებელი. ამ ორგანიზაციისათვის საჭირო თანხა იხარჯება ფონდის გამგის მიერ მთავრობის კრედიტიდან.

— გამგეობაშ გადასწყვეტა ამ სამოსწავლო წლიდან გახსნას გურიაში ხუთი ახალი დაწყებითი სასწავლებლები. უკვე გაიხსნა და დასამტკიცებლათ განათლების სამინისტროს წარედგინა.

— გამგეობის დადგენილებით გასულ სამასწ. წელს ერობის ბარ-ჯზე დაარსებულ 5 დაწყ. სასწავლებელში (იანეთის, ახალსოფლის, წყალწმინდის, ონჭიკეთისა და ზოტის) ამ სამოსწავლო წლიდან და-სდა მეორე კომპლექტები, რომელთა შესანახათ განათლების სამინი-სტრუდან გამოთხოვილი იქნება საჭირო კრედიტი.

ერობის გამგეობამ საერთო უმაღ. დაწყ. სასწავლებელში სწა-ვლის ფულად დააწესა 1200 მან. წელიწადში.

— გამგეობამ სტიპენდიები დაუნიშნა თვეში 5.000 მან. ორს სა-ხელმწ. უნივერსიტეტში და ერთს პალიტექნიკურ ინსტიტუტში მოს-წავლეთ იმ პირობით, რომ ისინი ვალდებული არიან სწავლის დასრუ-ლების შემდეგ საერთო უწყებაში იმსახურონ ხუთ-ხუთი წელიწადი და საზაფხულო პრდადაგებზედაც ერობის განკარგულებაში დარჩენენ.

— ერობის მიერ გამართული 2-თვიანი სამასწავლებლო კურსები დასრულდა 5 სექტემბერს. გამოცდები ჩააბარა და სახალხო სკოლის მასწავლებლის ღირსება მიიღო 77 კაცმა, რომელთა საბუთები უკვე წარედგინა განათლების სამინისტროს დასამტკიცებლათ.

— იუსტიციის სამინისტროს შეკითხვაზე ერობის გამგეობამ აც-ნობა ამ სამინისტროს, რომ მას არა. თუ არაფერი აქვს საწინააღმდე-გო, პარიქით სასურველადაც მიაჩნია, რომ ოზურგეთის მაზრა შეტა-ნილ იქნას ბათუმის სასამართლოს ოლქის ტერიტორიის ფარგლებში.

— გურიის ოლქის მოსამართლეთა ყრილობამ, თანახმად ერობის გამგეობის შუამდგრმლობისა შემოიღო მოსამართლეთა მიერ უბნის შორეულ სოფლებში საქმეების აღგილობრივათ გარჩევა, ერობის გამ-გეობა აძლევს დღიურებს მსაჯულსა და მდივანს უბანში აღგილობრი-ვათ საქმის გარჩევის დროს, თანახმად ერობაში არსებულ ნორმებისა, თავის საშუალებიდან.

— ერობის გამგეობამ სასურველად სცნო თემებში სასურსათო ბელლების მოწყობა. სათანადო პროექტის შედგენა და გამგეობისათ-ვის წარმოდგენა დავალი სავაჭრო სამრეწველო განყოფილებას.

— შიმშილობამ გურიაში ამაღლეს წერტილამდე შიაღწია. ერო-ბის მცერ მოღვაწულმა ზომებმა რამდენიმედ შეამსუმავეს ხალხის ვაჭიფ-რება ამ დარღვი. ამ დღეებში ერობამ დამშეულ ხალხს დაურიგა 2 ვა-გონი სიმინდი და 2 ვაგონი ქერი. სიმინდი აღგილობრივ ბაზარზე ფასობს 2.000 — 2.300 მან. ფუთი.

— ერობამ შეიძინა ქ. ლანჩხუთში აფთიაქი მთელი თავისი მოწ-
ყობილობით და ავეჯეულობით.

ზუგდიდის სამაზრო ერობაში.

ცირკულიარი მილიციის უფროსებისადმი.

მაზრაში ავაზაკთა თარეშს ბოლო არ უჩანს, აღმინისტრაციის მიერ
მიღებული ზომები მიზანს ვერ აღწევენ. მიხეზები ამისა ღრმა არის,
მაგრამ აღვილად გასაგები.

ძველი დროის აღმინისტრაციას ერთი საგულისხმო ლირსება ჰქონ-
და, ეს იყო დისკიპლინა—მორჩილება და დაკისრებულ მოვალეობაზე
პასუხის მგებლობა; ძველი „სტრაუნიკი“ კერ დაყრიდა და ვერ ჩააბა-
რებდა იარაღს მტერს, რაგვარ პირობებშიც არ უნდა შეხვედროდა მას
ყაჩალებთან შეჯახება და, თუ ის ასე ჩაიდენდა, აუცილებლად სასტიკ
პასუხის-გებაში მიეცემოდა. პასუხს ავებდენ აგრეთვე ყოველ უბრალოდ
და უშედეგოთ გასროლილ ტყვიაზე და მათზე მიბარებულ იარაღის
სუფთათ შენახვაზედ. ზუგდიდის მაზრის მილიცია, აშკარად უნდა ით-
ქვას ეს, მოკლებულია ასეთ პასუხის-მჯებლობას და დისკიპლინას. ხში-
რად ასტყდება მილიციონერების მხრივ უთავბოლო სროლა, ვითომ
ყაჩალებს ესვრიან, მაგრამ სროლას არავითარი ნაყოფი არ მოაქვს; სო-
ფლის მილიციონერი, როდესაც მას ესაჭიროება მეორე მილიციონე-
რის დაბარება, რამოდენიმეჯერ თოვს გაისვრის, რაც წინდაწინ მიღ-
ბული ნიშანია დაბახების მაგიერ. ამნაირი უთავბოლო სროლით იქმნება
მცხოვრებთა დაუმშვიდებელი სულიერი განწყობილება და ამასთან ერ-
თად იხარჯება აუარებელი ვაზნები. გარდა ამისა მილიციონერების მხ-
რივ მიღებულია თოფების გადაჭრა. ამ დროს სრულებით არ ფიქრო-
ბენ იმაზე, რომ ეს სახაზინო ქონება და ამ გადაჭრით თოფი კარგავს
თავის საომარ ლირსების ორ მესამედს.

რაც შეეხება მილიციონერის სისუსტის გამოჩენას და იარაღის
მტერზე დაბარებას ყოველ ასეთ შემთხვევას ვალდებულია მაზრის და
უბნის მილიციის უფროსები თვალ ყური ადევნონ და იარაღის დამ-
ყრელი მილიციონერი სამსახურიდან გამორიცხვასთან ერთად პასუ-
ხის გებაში მისცენ.

მივაქცევ რა ყოველივე ამას ყურადღებას მაზრის, უბნის და თე-
მის მილიციის უფროსებისას, ყავალებთ მათ:

1) შეაიარაღონ მთელი გაზრის და უბნის მილიცია რუსული ან ფრანგული ვინტოვკებით; რაც შეეხება გადაჭრილ ვინტოვკებს, ასეთები ჩამოერთვას ვისაც ეს-აქვს და დაგროვილ იქნას საარტილერიო საწყობში წასარდგენათ და იმათ ნაცვლად გამოთხოვილ იქნას ახალი და გადუჭრელი თოფები.

2) შედგენილ იქნას სრული ანგარიში ვაზნებისა და ტყვიების, თუ რომელ მილიციონერზე რამდენი ითვლება და უკანასკნელი ვალდებულია ყოველ გასროლილ ტყვიაზე გასამართლებელი საბუთი წარმოადგინოს. უმიზნოთ გასროლისათვის პირველ შენიშვნის შემდეგ მეორეზე დათხოვილ იქნას მილიციონერი სამსახურიდან.

ყველა ამ ზომების სისრულეში მოყვანას გაზრის უბნის და თემის მილიციის მხრივ თვალყურს აღევნებს სამაზრო ერობა აღმინისტრაციული განყოფილების საშუალებით, და ეს უკანასკნელი მიიღებს სასტიკ ზომებს მათ წინააღმდეგ, ვისაც გამოაჩდება ამ სავალდებულო დადგენილების შესრულების გვერდის ახვევა.

ჩხოუშიაზე ხიდის გაშენება.

გადაწყვეტილია გაშენებულ იქნას მდინარე ჩხოუშიაზე (სოხუმის გზა) რკინა-ბეტონის ხიდი;

ყაფრის დამზადება.

მილებულია ზომები დამზადებულ იქნას დიდძალი ყაფრი სკოლების და ცრობის სხვა საჭიროებისათვის,

ხის მახალის ნიხრი.

ზუგდიდ-ანაკლიაში.

I. ხარისხის-ვერშოკი	130 მან.	150 მან.
II	80 მან.	130 მან.
III		100 მან.

სამურზაყანოს სამაზრო ეზობაში

სამურზაყანოს მაზრის ერობის სტატისტიკურ განყოფილებაშ თავისი მუშაობა დაიწყო ა. წ. I იგნის.

პირველ ხანებში მას, როგორც ეხლაც, წინ ელობებოდა ათასგვარი დაბრკოლებები. მიუხედავათ ამისა განყოფილებაშ თავისი მოკლე ხნის მუშაობით დიდის რამის გაკეთება შესძლო. მან მთელს მაზრაში გააბა

ქსელი სტატისტიკური მოხალისეთა კორესპოდენტებისა და თითო სოფ-
ელში არის არა ნაკლები 5—8 კაცისა. სულ მაზრაში 110 კორესპო-
დენტია ყოველი პროფესიიდან, რომელთა 90% მუდამ იძლევა პასუხი
ყოველგვარ მიმართვაზე.

სტატისტიკურმა განყოფილებამ მოწყო რა კადრი ასეთი კორეს-
პოდენტებისა მიზნად დაისახახა ყოველგვარი გამოკვლევის დაწყება
1919 წ. შემოდგომიდან.

მანვე მოხალისე კორესპონდენტების საშუალებით გამოიკვლია 1920
წ. მაზრის სასურსათო მდგომარეობა.

ყურადღება მიაქცია კოოპერატიულ სტატისტიკას. მართალია
მაზრაში არ მოიპოვებოდა დიდი ძალი კოოპერატივების, მაგრამ მას ნა-
თელი წარმოდგენა გაუკეთა და გამოიკვლია კოოპერატივების გაუკ-
რცელებლობის მიზეზები:

განყოფილებამ შესძლო მოხალისე კორესპოდენტების საშუალე-
ბით მაზრიდან გატანილი სიმინდის რაოდენობის გამორკვევა.

მანვე გამოარკვია 1920-წლის ხორბლის მოსავლის რაოდენობა,
მაზრაში.

დაამთავრა ცნობების შეკრება და მუშაობა პირველ ივნისიდან
პირველ სექტემბრამდე საქონლისა და სასურსათოს ფასისა.

გამოიკვლია და სათანადო ცნობა შეადგანა მაზრის გაქრობა-მრე-
წველობის მდგომარეობის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ მუშაობა ფერხდება, საქმისათვის საჭირო
პლანების უქონლობით. თვით ერობა არაფერს ამზადებს, ხოლო ცენ-
ტრალური სტატისტიკური კომიტეტი არაფერს უგზავნის. გარდა ამისა
განყოფილება უკვე შეუდგა 1920 წლის მოსავლის რაოდენობის გამო-
რკვევას, რაც რასაკვირჩელია დიდად წინ წაწევს ერობის საქმეს მისი
სასურსათო საკითხის მოგვარეობის საქმეში.

სამურზაყანოს ერობის გამგეობა შეუდგა თემების შოწყობას. ამ-
გრჩეველთა სი უკვე შედგენილია და არჩევნებიც მაღვე დამთავრდება.

გზების შეკეთება უკვე დამთავრდა; მრავალ სათემო რაიონში გა-
ყვანილია ახალი გზები.

სასწავლებლებში მეცადინობა უკვე დაიწყო. დიდი ნაკლულევა-
ნებაა, როგორც დაბალ სასწავლებლის ისე პირველ დაწყებით უმაღ-
ლეს სასწავლებლის მასწავლებლების შოვნაში.

მოსავალი მაზრაში საშუალოზე უკეთესია.

თ ე მ თ ა ც ხ ვ რ ე გ ბ

ბორჯომის სათემო ერობის ხმოსანთა ყრი თობის ოქმიდან.

ყრილობა გაიხსნა 12 ენკენისთვეს, დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება თემის გამგეობის მუშაობაზე 2. ჭირნახულის შეძენა ბორჯომის რაიონის შეცხოვრებთათვის, 3. ბორჯომის რაიონის სოფლების მცხოვრებთა საჭიროებისათვის საშინაო ხის მასალის და ბაჟის შესახებ. 4. მომავალი წლისათვის სათიბი ალაგების განაწილება, 5. სოფლებში გზების შესაკეთებლათ ტყიდან ზასალის უბაჟოთ გამოტანა, 6. სოფლებში კომისრების ნაცულად ოკის თავების არჩევა, 7. სოფ. ბაკურიანში, წალვერში, ახალდაბაში და გუჯარეთში აბანოების მოწყობა, 8. ნოტარიუსის დანიშვნა. ქ. ბორჯომში, 9. ახლად გაწმენდილ ახოებზედ ლალის ერთი-მეათედი ჭირნახულის მაგრებულის გადახდევინების შესახებ შეამდგრმლობა, 10. ჯარისკაცთა თვითონებობის შესახებ. რომ იგინი ურიგოთ ვინც მოხვდებათ გზავნიან ბეგარზე ხალხს, 11. ხის მზიდველების ფასის მომატების შესახებ, 12. ხის აზიდ ტყიების შეკეთების შესახებ.

მოხსენება თემის გამგეობის მუშაობაზე გააკეთა გამგეობის თავმჯდომარებ კ. შახნაზაროვება; მოხსენების შემდეგ ყრილობამ იქნია რა მსჯელობა დასმულ საკითხებზე, შემდეგი რეზოლუციები გამოიტანა: ვინაიდან ბორჯომის რაიონის სოფლების მუშები იმყოფებიან ქარხნების მუშების პირობებში მიზ, რომ ემორჩილებიან ტყის მონაპოლიას და მათ მიერ დამზადებულ ხეს იგინი აბარებენ ბორჯომის მამულის სახერხს ქარხნებს სახელმწიფო ფასებში და თვითონ კი მთელი წლის განმავლობაში უნდებათ. ჭირნახულის ყიდვა ძვირ-ფასებში, რის გამო არ ყოფნით მათ დამზადებულ ხის მასალაში აღებული ფული და განიკლიან გაკირვებას ჭირნახულის ნაკლებულობით, სახნავ-საოესი მამულის სიმკირისა გამო, ამისათვის ალიძრას შუამდგომლობა მიწათ-მოქმედებას სამინისტროს წინაშე გორის სამაზრო ერობის გამგეობის საშუალებით, რომ მან (სამინისტრომ) ყოველ წლიურად აღლის ბორჯომის რაიონის ხის მზიდველ მუშებს შელავათიან ფასებში რამოდენიმე ვაგონი. ჭირნახული და ცოტა მაინც ჯავაშებეს მათ ცხოვოების პირობები, რითაც შეძლება მრეცემათ მათ უფრო ერთგულათ და, ენერგიულათ მოუკიდონ სახელმწიფოსათვის ხის დამზადების სექტემბერს.

ყრილობამ მიიღო რა მხედველობაში. რომ ბორჯომის რაიონის მცხოვრებნი, როგორც უმამულო ხალხი განიცდიან სილარიბებს და არც აქვთ უერთოთ ხის მასალის გაყიდვის უფლება და მიუხედავათ ყველა მისა იგინი საშინაო მასალაზედ იხდიან სრულ ბაჟს, დაადგინა ეთხოვოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს გორის სამაზრო ერობის გამგეობის საშუალებით, რომ მან (სამინისტრომ) დაუთმოს ბორჯომის რაიონის შეცხოვრებთ თავიანთი სახლების საჭიროები-ათვის ხის მასალა ნახევარი ბაჟის გადახდით, ხოლო ძალიან ლარიბებს, ქვრივ-ობლებს დაზარალებულთ სრულიად უბაჟოთ.

ვინაიდან საერთოდ ბორჯომის რაიონში სათიბი ადგილები არ არის

დანაწილებული თანაბრათ და ზოგს უჭირავს იმდენი, რომ ჰყიდის კიდეც და ზოგს სრულიად არა, ამისათვის მიენდოს თემის გამგეობას მომავალი 1921 წლისათვის სათიბი აღვილების თანაბრად განაწილება.

ვინაიდან ბორჯომის რაიონის სოფლების ხიდები, ბოგირები და ვზები აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ ბორჯომის სახელმწიფო მამულისათვის მით, რომ მაზედ იზიდება აუარებელი ხე-ტყის მასალა ხსენებული მამულის სახერხ ქარხნებისათვის, ამისათვის აღძრას შუამდგომლობა მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან გორის სამაზრო ერობის საშუალებით, რომ მან (სამინისტრო) მისცეს ბორჯომის რაიონის მცხოვრებთ ხსენებულ საქმის საჭიროებისათვის ხის მასალა უბაჟოთ.

ვინაიდან სოფლებში ამორჩულ კაცს-ეგრეთ წოდებულ კომისარს მალიან უძალებება მარტო თავისი მოვალეობის შესრულება, რის გამო ფერხდება საერთო საქმის გაკეთება, ამისათვის არჩეულ იქმნეს სოფლებში მათ (კომისრების) ნაცვლად ოცის თავები, რომლის მოწყობა მიენდოს თემის გამგეობას.

ვინაიდან აბანოებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ხალხის ჯანსაღობისათვის, ურომლისოდაც უსუფთაობის გამო ჩნდება ხალხში ათას გვარი ავადმყოფობა; ამისათვის დაევალოს თემის გამგეობას იზრუნოს აბანოების მოსაწყობათ ბაკურიანში, წალვერში, ახალ დაბაში და გუჯარეთში, რაზედაც ნატურალური შრომა იყოს ხალხისა, ხოლო ფული და ტეხნიკა თემის გამგეობის.

ვინაიდან ბორჯომის რაიონის მცხოვრები განიცდიან წვალებას მით; რომ ადგილობრივ არ არის ნოტარიუსი და უხდებათ მათ მცირე საქმისათვის, როგორიცაა განაჩენების ვექილობის შემოწმება და ხელშეკრულობის შედეგენა, ქ. სურამში სიარული და ქ. ბორჯომში არსებობს ცენტრო-ბანკი, რომლის ვექილობის პროტესტის გაკეთება. შეადგენს ნოტარიუსის მოვალეობას და იგი კი აქ არ არის, ამისათვის აღიძრას შუამდგომლობა იუსტიციის სამინისტროს წინაშე გორის სამაზრო ერობის გამგეობის საშუალებით, რომ დანიშნულ იქმნას ბორჯომის რაიონისათვის საკუთარი ნოტარიუსი ქ. ბორჯომში.

ვინაიდან ბორჯომის თემს არ აქვს თანხა, რომლითაც შეძლება ექნება გამგეობას მოსაწყოს სხვა და სხვა შემოსავლის წყაროები, ამისათვის მიეცეს მას (გამგეობას) ააღოს ბორჯომის ცენტრო-ბანკიდან სესხი სამასი ათასი. (300,000) მანეთი.

ვინაიდან ბორჯომის რაიონის მცხოვრებთ სახნავი მამულის სიმცირისა-გამო, არ მოსდით ჭირნახული საყოფი და უხდებათ. მათ ყოველ წლიურათ თითქმის ჩ. თვის განმავლობაში ჭირნახულის ყიდვა, ამისათვის აღიძრას შუამდგომლობა მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე გორის სამაზრო ერობის გამგეობის საშუალებით, რომ საერთოდ ბორჯომის რაიონში ახლად გაწმენდილი ახოები ჩაიწეროს ძველი მამულების პირობებში, რომ მათ (მიწის მუშებმა) გადაიხადონ 1/10 ღალა ფულად და არა ჭირნახულით.

ვინაიდან შემჩნეულია, რომ ქ. ბორჯომში და მის რაიონში ჯარის-კაცების მიერ ხდება ძალმომრეობა ხალხის ბეგარაზედ გარეკვის დროს, რომ იგინი თავისი ნებით რომელ მეურმესაც მოასწორებენ, გზავნიან ბეგარაზედ, მიუხე-

დავათ იმისა, რომ ზოგიერთა მეურმეს ხვდება ბეგარაზედ წასვლა ხშირათ და ზოგს კი სრულიად არა, რის გამო ხალხში შედის აიარხია, ანარხიას კიდევ მოსდევს უქმაყოფილება ხალხში, ამისათვის ყრილობამ სცნო რა ეს მოვლენა არა სასიამოვნოთ, დაადგინა ეცნობოს ეს ამბავი, როგორც სამხედრო სამინისტროს, აგრეთვე ბორჯომის რაიონის და ქალაქის მილიციის უფროსებს, რომ მიღებულ იქმნეს ზომები, აღარ განმეორდეს ჯარის კაცთა მიერ ასეთი თვითნებობა და შემდეგებულის, როდესაც საჭირო იქნება სოფლებიდან ურმების გამოყვანა ბეგარაზედ, ეცნობოს გისვანაც ჯერ არს ბორჯომის რაიონის მილიციის უფროსს, რომელიც მიიღებს ზომებს და გამოიყვანს სოფლებიდან ურმებს ბეგრის წასაღებათ, მორიგეობით, რომ მით დაცულ იქმნას წეს-რივი და სამართლიანობა.

ყრილობამ მიიღო რა მხედველობაში, რომ ის ფასი, რომელიც ეძლევათ ხის მზიდველ მუშებს ბორჯომის მამულის სახერს ქარხნებში, ძალიან მცირეა, რომ დღევანდელ სურსათის სიძვირის პირობებში უძნელდებათ მათ თავიანთი ოჯახების გამოკვება და რომ ၅၀ სატარიფო პალატის მიერ შემუშავებული არ გავრცელებულა ბორჯომის რაიონის ხის მზიდველ მუშებზედ, დაადგინა ეთხოვთ მიწათ-მოქმედების სამინისტროს გორის სამაზრო ერობის გამგეობის საშუალებით: 1. მოქმატოს ხის მზიდველ მუშებს ძირითადი ფასები მათ მიერ დამზადებულ ხის მასალაზედ და 2. გავრცელდეს მათზედაც, როგორც სხვა მუშებზედ და მოსამსახურებზედ სატარიფო პალატის მიერ შემუშავებული ၅၀ მოქმატება.

ვინაიდან წინეთ გზებს და ბოგირებს აეთებდა ბორჯომის მამულის სამართველო და ახლა კი მიწოვებულია უპატრონოთ, რის გამო დიდი ზარალი ეძლევა, როგორც ხალხს, აგრეთვე სახელმწიფოს მით, რომ მრავალი მოქმილი ხელვება ტკები და გამოტანის საშუალება კი არა აქვს ხალხს უგზობისა გამო, ამისათვის დაევალოს თემის გამგეობას შუამდგომლობა აშ საქმის შესახებ ბორჯომის მამულის მართველთან და თუ იგი არ მიაქცევს ყურადღებას, მაშინ მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან.

ბორჯომის რაიონის სათიბ ადგილების ყურადღების მიქცევა, რომ არავის მოეძოვებინა საქონლისათვის, ჰერიტაჟის მინდობილი ტყის მცველებს და სათიბი ადგილების პატრუნებიც სარგებლობდნენ მით, რომ ტყის მცველების მეოხებით რჩებოდა მოუქმედებელი თივა, რასაც სთიბამდნენ და ინახავდნენ ზამთარში საქონლის გამოსაკვებათ; ვინაიდან დღეს ხსენებული სათიბი ადგილები მიწოვებულია უყურადღებოთ და ახალ-ქალაქის მაზრიდან ქირაზედ მომავალი მეურმები ანადგურებენ საქონლით და აძოვებენ თივას, ამისათვის დაევალოს თემის გამგეობას ზომების მიღება მათ წინააღმდეგ და შუამდგომლობა ვისთანაც ჯერ არს, რომ უწინდებურათ მიექცეს ყურადღება ტყის მცველების მიერ.

თემის გამგეობის თავმჯდომარე ვრცლად შეეაო ყაჩალობის მოსპობის საშუალების აღნიშნავს ბორჯომის რაიონში, რის შემდეგ ყრილობამ დაადგინა: გავრცელებულ იქმნეს ხმოსნების მიერ ხალხში, რომ მათ ყოველ ნაირი დახ-

ვარება აღმოუჩინონ თემის გამგეობას და მილიციას ყაჩალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვიანაიდან შემჩნეულია, რომ ზოგიერთა მშობლები აცდენენ ბავშვებს სწავლას და ზოგს კი სრულად არ მიჰყავთ შვილები სკოლაში, რაიცა არა სასურველი და სასიამოვნოა, ამისათვის დაევალოს თემის გამგეობას ზომების მიღება და სასჯელის შემოლება იმ მშობლების წინააღმდეგ, რომელებიც მოაცდენენ შვილებს სწავლას.

ყრილობამ მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ ბორჯომის რაიონის მცხოვრებთ ჰქონდათ ა. წ. პირველ აგვისტომდის. ნება დართული მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ 3-5 ვერშოკიანი ხეების და ყავრის გატანის უფლება ქართლში ჭირნახულზედ გასაცვლელად, მავრამ ზოგიერთა ვათგანმა მოასწრო დამზადებული 3-5 ვერშოკიანი ხეების და ყავრის გატანა და ხსენებული 3-5 ვერშოკიანი ხეები სახერხი ქარხნისა თვი არ არის გამოსადევა, რის გამო, თუ უფლება არ ექმნება ხალხს მათი ჭირნახულზედ გაცვლისა, უნდა დალპეს გამოუსადევრათ, დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა მაწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე გორის სამაზრო ერობის გამგეობის საშუალებით, რომ მან (სამინისტრომ) ნება დართოს ასეთ პირთ ბორჯომის რაიონის მცხოვრებთ, რომელთაც აქვთ დარჩენილი დამზადებული ხველი ახოების 3—5 ვერშოკიანი ხეები და ყავარი გასცვალონ. ჭირნახულზედ.

ყრილობას დაესწრო გორის სამაზრო ერობის გამგეობის წევრი ვ. ოქუაშვილი, რომელმაც აღნაშნა, რომ საერთოდ გორის მაზრაში არც ერთი თემის ხმოსნების და გამგეობის შორის არ არის ასეთი შეთანხმებული მუშაობა, როგორიც ბორჯომის თემშია და არც ერთი არ არის მოწყობილი ასე, როგორც ბორჯომის თემი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

ქუთაისის ერობის 1920 წლ. შემოხვევალ-გასაკლის აღრიცხვა.

რედაქციამ შიიღო ქუთაისის სამაზრო ერობის მიერ გამოცემული 1920 წლ. შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა. წიგნი დიდი ფორმატისაა, შიგ მოქცეულია ერობის თავმჯდომარის კ. სულაქველიძის ქუთაისის ერობის 1919 – 1920 წ. მოღვაწეობის მიმოხილვა და 1920 წლ. შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა, დაბეჭილია მშვენიერ ქალალდზე, სუფთად და ლამაზად.

გამომცემელი: ერობათა კავშირის კომიტეტი.

მიიღება ხელის მოწერა 1920 წლისათვის ორგვირეულ ქურნალ

წელიწადი
პირველი

„მრ მლ ბ ს“ 83

წელიწადი
პირველი

ორგანო ერთბათა კავშირის კომიტეტისა. ქურნალი მიზნათ ისახავს ერობის ცხოვრების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხების ყოველმხრივ გარკვევა-გაშუქებას.



რედაქციისაგან:

რედაქცია სთხოვს ყველა საერთო და სახოგადოდ თვითშართველურ ერთეულებს მოგვაწოდონ აღილობრივი ცხოვრებიდან მასალები: მნიშვნელოვანი რეზოლუციები და დაფენილებანი, წერილები, სტატისტიკური ცნობები, გამოცემანი.

თანამშრომლებს ვთხოვთ წერილები დაწერილი იყოს ერთ გვერდზე მელნით და გარკვევით.

581
1920

მიმღება ბალის მონარა გვათი

”ერთობა“-შე

ორგანო საქართველოს ცენტრალ-დემოკრატიკულ
მუზათა პარტიის ცენცრალური კომიტეტისა.

განეთი ღირს თვეში 250 მანეთი, ცალკე ნომინი ყველაზე
10 მანეთი

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4

ტელეფონი 16—62.

ფასი 100 გან.